პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—40
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კაპ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 185 (1040) შაბათი 16 აგვისტო 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 185 (1040)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

— ჩინეთში წყალდიდობას [illegible] 50.000 კაცი დაიღუპა.

— მაროკოში ესპანეთის ჯარების მდგომარეობა კრიტიკულია.

— სუდანში ინგლისელების წინააღმდეგ აჯანყება მძაფრდება.

— პორტუგალიაში მემარჯვენეებს [illegible] მოეწყობინათ სახელმწიფო გადატრიალება.

— პოლონეთში დააპატიმრეს 5000 კაცი.

— გერმანიის მთავრობამ ამერიკას 2.700.000 დოლარის ვერცხლის ფული დაუკვეთა.

— ბულგარეთში პარტიზანული მოძრაობა ძლიერდება.

— გაიხსნა ტრანსპორტის მუშათა რევოლუციონური კავშირების კონფერენცია.

შაბათს, 16 აგვისტოს, დილის 9 საათზე შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

ამიერ-კავკასიის ცაკის II სესიისათვის

როგორც დღევანდელ ნომერში მოთავსებულ განცხადებიდან გაიგებს მკითხველი, ა. წ. პირველი სექტემბრისათვის მოწვეულია ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია.

სესიის დღის წესრიგში მდგარ საკითხებიდან დღეს ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთებზე.

პირველ ყოვლისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ბიუჯეტის საკითხზე.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ უდეფიციტო ბიუჯეტი—ასეთია ჩვენი ლოზუნგი, რომელიც უნდა განვახორციელოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ ფინანსიური რეფორმის საბოლოოდ განმტკიცებას და სახალხო მეურნეობის განვითარების უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

რუსეთში ამ მხრივ უკვე მიღწეულია ფრიად საგრძნობი შედეგები, იქ უკვე ფაქტია პირველი უდეფიციტო ბიუჯეტი.

ჩვენში კი მდგომარეობა რამოდენიმედ სხვანაირია. ჩვენი რესპუბლიკების სახელმწიფო გასავალი ჯერ კიდევ აღემატება შემოსავალს. საბჭოთა კავშირის მთლიან ბიუჯეტში ამიერ-კავკასია ჯერ კიდევ დეფიციტიან ნაწილს წარმოადგენს. დღემდე ჩვენ ბლომად ვსარგებლობთ ცენტრის დოტაციით.

ეს გარემოება აიხსნება არა მარტო იმით, რომ ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიური და ფინანსიური შესაძლებლობანი საერთოდ მცირეა, არამედ იმითაც, რომ დღემდე ვერ მოვახერხეთ საჭირო მასშტაბით სასტიკი საბიუჯეტო დისციპლინის დაცვა, ხარჯების მაქსიმალური შემცირება და ყველა საგადასახადო საშუალებათა გამოყენება.

ამ მხრივ გვმართებს ენერგიული ზომების მიღება. თვითეულმა დაწესებულებამ და რესპუბლიკამ ხარჯთ-აღრიცხვა უნდა შეუფარდოს არსებულ რესურსებს, ახალი საამშენებლო მუშაობა წამოიწყოს ამისათვის საჭირო საშუალებათა წინასწარი გათვალისწინებით, ხარჯები გასწიოს მხოლოდ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში, გამოიჩინოს უკიდურესი მომჭირნეობა და სავსებით ამოსწუროს თავისი საგადასახადო შესაძლებლობა. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია დავდგეთ საკუთარ ფეხზე და ახლო მომავალში მივაღწიოთ თუ მთლად უდეფიციტო ბიუჯეტს არა, დეფიციტის მინიმუმამდე შემცირებას მაინც.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცებამ სესიის მიერ სწორედ ასეთი შედეგები უნდა მოგვცეს.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობის საკითხი, რომელიც დგას სესიის დღის წესრიგში.

დღეს არსებობენ და მოქმედებენ: ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი და ასეთივე სამი რესპუბლიკანური ბანკი.

ამასწინედ შემდგარმა რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის კომიტეტის პლენუმმა გადასწყვიტა შეიქმნას ამიერ-კავკასიის ერთი სასოფლო-სამეურნეო ბანკი, ხოლო რესპუბლიკებში იქნებიან „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის რესპუბლიკინური განყოფილებები".

ამით მყარდება მთელი ამიერ-კავკასიისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ერთიანი პოლიტიკა და სისტემა, ერთი საერთო ხელმძღვანელობით.

რანაირი უნდა იყოს ჩვენი საკრედიტო პოლიტიკა გლეხობის მიმართ? იაფი და ხანგრძლივი სესხის გაცემა **შეუძლო** მეურნეობათათვის **საწარმოო მიზნით.** ცხადია, უპირატესობა ამ შემთხვევაში მიენიჭებათ კოლექტივებში, არტელებში, ამხანაგობებში და გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტების გარშემო **გაერთიანებულ** გლეხურ მეურნეობათ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სესხის პროცენტის შემცირებას. გაზეთებში ცნობა იყო გამოქვეყნებული, რომ იყო შემთხვევები, როცა საკრედიტო ამხანაგობები აძლევდნენ სესხში 24, 36 და 48 პროცენტსაც კი. რა თქმა უნდა, ეს დაუშვებელია. რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გამოიმუშავა პროცენტების შემდეგი ნორმა გლეხურ მეურნეობათათვის. ხანგრძლივი სესხი არა უმეტეს 8 პროც. წლიურის და მოკლევადიანი სესხი არა უმეტეს 12 პროც.

დაახლოვებით ასეთი ნორმები უნდა იქნას ჩვენშიც შემოღებული.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კრედიტი დაკარგავს თავის აზრს, გლეხებისათვის სამძიმო იქნება მისი შეძენა, სასოფლო-მეურნეობის აღორძინება შეფერხდება და მშრომელი მოსახლეობაც ვერ განთავისუფლდება ჩარჩების და კულაკების გავლენისაგან.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საკრედიტო დახმარების განაწილებას რაიონებს შორის. უნდა იქნას გათვალისწინებული ამა თუ იმ რაიონის ეკონომიური ღირებულება და საჭიროება და ამასთან იქნეს შეფარდებული გასაცემ კრედიტის რაოდენობა.

სესიის დღის წესრიგში, სხვათაშორის, დგას საძოვრების საკითხი ამიერ-კავკასიაში.

ეს მეტად მტკივნეული საკითხია. მის შესახებ ერთ დროს ფართე დისკუსია წარმოებდა ადგილობრივ პრესაში. მაგრამ საკითხი მაინც არ არის საბოლოოდ გადაჭრილი.

საძოვრებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა მთელი ამიერ-კავკასიისათვის.

ჩვენში ფართედაა გავრცელებული მეჯოგეობა-მესაქონლეობა. მეურნეობის ამ დარგის შენარჩუნება და შემდეგი განვითარება მეტწილად დამოკიდებულია საძოვრების საკითხის მიზანშეწონილ გადაჭრაზე.

საჭიროა არსებულ საძოვრების რაციონალური მოვლა და ზომების მიღება მათი უფრო გაფართოვებისათვის.

მთავარი კი ის არის, რომ უზრუნველყოთ რესპუბლიკების და რაიონებისათვის საძოვრებით დაუბრკოლებელი სარგებლობა. ერთი რესპუბლიკა საჭიროებს მეორის საძოვრებით. უნდა იქნას გამომუშავებული დაწვრილებითი წესები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი გახდება ამიერ-კავკასიის ფედერაციაში არსებულ საძოვრების სავსებით გამოყენება თვითეულ რესპუბლიკის და მთელი ჩვენი ფედერაციის მესაქონლეობა-მეჯოგეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ბრძოლა მოუსავლიანობის შედეგებთან

დღეს იბეჭდება ამიერ-კავკასიის საექსპერტო კომისიის ცნობები მოსავლის მდგომარეობის შესახებ ა. წ. პირველი აგვისტოსათვის. ეს ცნობები დამუშავებულია რესპუბლიკანურ საექსპერტო კომისიების მიერ ასეთივე სამაზრო კომისიების მასალათა მიხედვით.

ჩვენში სტატისტიკა საერთოდ და მოსავლის სტატისტიკა კერძოდ არ არის დაყენებული სათანადო დონეზე, ადგილობრივი მუშაკებიც შეიძლება იჩენენ ამ შემთხვევაში ერთგვარ ტენდენციას მდგომარეობის რამოდენიმედ უფრო მუქად დახატვისას, მაგრამ გამოქვეყნებული ცნობები საერთოდ და დაახლოვებით, ეჭვი არ არის, შეესაბამებიან სინამდვილეს.

მათი მიხედვით, 1 აგვისტოსათვის ყველა მთავარი პურეულის მოსავალი სამივე რესპუბლიკაში თითქმის უახლოვდება საშუალოს—3-ს (აზერბეიჯანში—2,6, სომხეთში—2,6, საქართველოში—2,5).

კერძოდ თუ ავიღებთ საქართველოს, მარტო სიმინდი, რომელსაც უკავია ყველა მთავარი პურეულის 70 პროც., მოგვცემს საშუალო—მოსავალს (2,9), **თუ აწი ამინდმა შეუწყო** ხელი; მოსავალი ხორბლეულის, რომელსაც უჭერია სათესი სივრცის 25 პროც., ნაკლებია, ვინემ საშუალოზე დაბალი,—15 პროცენტით (1,7; საშუალოზე დაბალი კი უდრის 2-ს); საგაზაფხულო ქერი იძლევა საშუალოზე დაბალ მოსავალს (1,9); ზამთრის ქერის მოსავალი, რომელსაც რესპუბლიკანური მასშტაბით საერთოდ თითქმის არა აქვს მნიშვნელობა, უახლოვდება ცუდ მოსავალს (1,4).

ამგვარად, ხორბალის და ქერის მოსავალი ჩვეულებრივზე მცირეა; რაც შეეხება სიმინდს, რომელიც არის უმთავრესი პურნახული რესპუბლიკის მასშტაბით, მისი მოსავალი, ვიმეორებთ, საერთოდ იქნება საშუალო, თუ ხელსაყრელი ამინდი დაიჭირა.

მაინც ცხადია, წრეულს ჩვენში მოუსავლიანობა საგრძნობია და მის შედეგების ასაცილებლად აქედანვე უნდა მივიღოთ ენერგიული ზომები.

ზომები ორნაირია: პირველი—წრევანდელი მოუსავლიანობის უშუალო შედეგების სალიკვიდაციოდ მიმართული; მეორე—ზომები, განზრახული საერთოდ მოუსავლიანობის შესაძლებლობის მოსასპობად.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა ავაცდინოთ მოსახლეობას სიმშილობა ამ სამეურნეო წელში.

საქართველოში დღეს მოგვეპოვება შარშანდელი სიმინდის მნიშვნელოვანი რაოდენობა. სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებმა ხელი უნდა მოკიდონ თავისუფალი სიმინდის და სხვა ხორბლეულის შესყიდვას. ფართედ უნდა გაჩაღდეს პურეულის დამზადების კამპანია. ამისათვის უნდა იქნას გადადებული საკმაო თანხა.

ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ შარშანდელი სიმინდი არ გაფუჭდეს.

კოოპერატიული თუ სახელმწიფო ორგანოები მოაგროვებენ სიმინდს და სხვა პურეულს თავიანთ საწყობებში და საჭიროების მიხედვით მიაწვდიან მოსახლეობას სესხად, ხოლო სადაც აუცილებელი იქნება—მუქთადაც.

ჩვენში ძალიან გავრცელებულია არაყის გამოხდა პურეულისა და კერძოდ სიმინდიდან. ეს ნთქავს დიდძალ პურეულს. ამას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

აგრეთვე აღკვეთილ უნდა იქნას სიმინდის გაზიდვა საზღვარ-გარედ.

ღარიბ და დაზარალებულ გლეხობას უნდა დაურიგდეს სათესლე შემოდგომაზე. პურეულის დასათესად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთა უნდა იქნას გადასინჯული და შემცირებული დაზარალებულ რაიონებისათვის.

საქართველოში წრეულს საერთოდ კარგი მოსავალია მაღალ კულტურათა—ღვინოსი, თამბაქოსი, პარკის და სხვ. პურნახულის ნაკლებობა რამოდენიმედ მაინც ამით ანაზღაურდება. ოღონდ საჭიროა გლეხობის ამ ნაწარმოებთა გასაღება მოეწყოს რიგიანად.

ამ საქმეში კოოპერატივებმა უნდა გამოიჩინონ შესაფერი უნარი და ინიციატივა.

ასეთი და სხვა მსგავსი ზომებით ჩვენ შევძლებთ გლეხობის გადარჩენას დამშევისაგან და მისი სყიდვითი უნარის თუ გადიდებას არა, შეჩერებას მაინც დღევანდელ დონეზე.

მაგრამ, თავის თავად ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება ამით არ დაკმაყოფილდება.

იგი მიიღებს საჭირო ზომებს, რათა გლეხობა სამუდამოდ იქნეს უზრუნველყოფილი სტიქიური უბედურებისაგან, გვალვისაგან.

მელიორაცია, გვალვიან ადგილების მორწყვა, ჭაობების გაშრობა,—აი, ჩვენი ლოზუნგი.

დღიდან არსებობისა მუშურ-გლეხური მთავრობა ამ მხრივ აწარმოებს ენერგიულ მუშაობას. არა ერთი და ორი უდიდესი არხი იქნა გაყვანილი არა ერთი და ორი ათასი დესეტინა იქნა მორწყული.

მაგრამ ეს ყველაფერი ცოტაა.

საჭიროა მუშაობის გაფართოვება ამ მიმართულებით. მელიორაციის იდეა უნდა გახდეს უფრო პოპულიარული გლეხობაში, ის მთლიანად უნდა იქნეს ამ საქმეში აქტიურად ჩაბმული.

ამასთან საჭიროა აგრონომიული ცოდნის გავრცელება ხალხში და მისთვის გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდება.

მარტო ხელისუფლების ღონისძიებანი და საშუალებები დასახული მიზნის მისაღწევად არ კმარა. კოოპერაცია, გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტები, მთელი მშრომელი მასსა უნდა ამოუდგნენ გვერდში მუშურ-გლეხურ მთავრობას.

მხოლოდ საერთო ძალღონით, ყველა მშრომელი ძალების შეგნებული შეკავშირებით გახდება შესაძლებელი სასოფლო-მეურნეობის აღორძინება და გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

X.

ქრონიკა

შეღავათების მიღების ახალი წესი

უმუშევრების ზოგიერთ კატეგორიებს, როგორც ვიცით, ეძლევათ სხვა და სხვა კომუნალური და საგადასახადო შეღავათები. ეს შეღავათები საკმაოდ დიდია და მათ უმუშევრების მძიმე მდგომარეობის შესასუბუქებლად აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

დღემდე ამ შეღავათების მიღება დაკავშირებული იყო შრომის ბირჟის აღრიცხვაზე ყოფნასთან. ამის გამო შრომის ბირჟას ეტანებოდნენ არამშრომელი ელემენტებიც, რომელნიც ცდილობდნენ აღრიცხვაში გატარებას და უმუშევრობის მოწმობის ხელში ჩაგდებას მხოლოდ იმისთვის, რომ მიეღოთ უფლება სხვა და სხვა შეღავათებზე.

ეს გარემოება იწვევდა შრომის ბირჟის გავსებას შემთხვევითი პირებით, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ უმუშევრობასთან, და აფერხებდა მის საქმიანობას, მიმართულს შრომის ბაზრის მოწესრიგებისაკენ; ამასთან საგრძნობ ზიანს აყენებდა სახელმწიფოს და ქალაქების ფინანსიურ ინტერესებს.

ამიტომაც გადაწყდა ბირჟის განტვირთვა შეღავათების გაცემის ფუნქციებიდან. ამიერიდან შრომის ბირჟის აღრიცხვაზე ყოფნა თავის თავად არ იძლევა უფლებას შეღავათებზე. ასეთები მიეცემა ამა თუ იმ უმუშევარს, თუ ის ნამდვილად გაჭირვებულია. მაგრამ აუცილებელია შეღავათების გაცემის ახალი წესის რიგიანად მოგვარება.

ამ საკითხს ეხება გაზ. „ტრუდ" (№ 177) და ამბობს:

„იბადება კითხვა იმაზე, რომ შემოვიღოთ შეღავათების გაცემის ისეთი წესი (იმათთვის, ვისაც აქვს მათზე უფლება და ვინც მართლა გაჭირვებულია), როცა ნაკლებად იქნება შესაძლებელი გაჭიანურება, რიგში დგომა, დავიდარაბა და ბიუროკრატიზმი. დღემდე ეს ხდებოდა შედარებით უბრალოდ და მაინც და მაინც დიდი დავიდარაბა არ იყო საჭირო. ეხლა შეღავათები უნდა გასცენ შინაგან საქმეთა და ფინანსთა კომისარიატის ადგილობრივმა ორგანოებმა. ამნაირად, უმუშევრებს მოუხდებათ საქმე იქონიონ არა ერთ, არამედ ორ დაწესებულებასთან, რომელნიც ანიჭებენ შეღავათებს, მოუხდებათ ორჯერ „შეასწორონ საბუთები", რაც თავის თავად უკვე იხოვს ორმაგი დროის დაკარგვას ყოველგვარი ფორმალობის შესასრულებლად. გარდა ამისა, რამდენადაც ბირჟები შესწყვეტენ მოწმობების გაცემას, მთელი უმუშევართა მასსა ერთბაშად დაიძრება იმ დაწესებულებებისაკენ, რომელნიც მანამდე ამ საქმეს არ აკეთებდნენ და სადაც აპარატი, გასაგებია, ამ ახალი ფუნქციების შესასრულებლად არ არის მოწყობილი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა „კუდები" გაჩნდებიან კომუნალურ და ფინანსიურ განყოფილებებთან, თუ წინასწარ არ იქნებიან ზომები მიღებული უმუშევართა მდგომარეობის გამოსაკვლევად, თუ ეს დაწესებულებები არ იქნებიან თავის დროზე და სათანადოდ მომზადებული თავიანთი ახალი მოვალეობათათვის".

ბევრს შეიძლება ეს წვრილმანად მოეჩვენოს. მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნება. ჩვენში პროფკავშირთა უმუშევარი წევრები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მათი მდგომარეობა ისედაც მძიმეა, რომ კიდევ შეექმნათ ისეთი პირობები, რომ შეღავათების მისაღებათ მათ მოუხდეთ „კუდებში" დგომა, ზედმეტი დროის დაკარგვა, ენერგიის დახარჯვა და უსიამოვნების გადატანა. ეს დაბადებს მათში უკმაყოფილებას, რაც არ შეიძლება შედიოდეს ჩვენს ანგარიშში.

„საჭიროა ამიტომ სასწრაფო ზომების მიღება, რომ უმუშევართათვის შეღავათების მინიჭების ახალ წესზე გადასვლა იქნეს პრაქტიკულად საკმაოდ მომზადებული, განსაკუთრებით ადგილებზე, რათა ის ჩატარდეს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ უმუშევართა მთელი მასსისათვის. კერძოდ, პროფორგანიზაციები უნდა შეეცადონ, რათა პროფკავშირების წევრთათვის შეღავათების მიღების წესი რაც შეიძლება მარტივი და ადვილი იყოს".

როგორც გუშინწინ გვქონდა აღნიშნული, შრომის ბირჟის რეორგანიზაცია ჩვენში უნდა ჩატარდეს დაკვრითი წესით. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სასწრაფოდ შეუდგნენ სათანადო მოსამზადებელ მუშაობას ის ორგანოები, რომლებსაც დაეკისრათ უმუშევრებისათვის შეღავათების გაცემა. ამ საქმეში პროფკავშირებმაც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

საფრანგეთ-გერმანიის უთანხმოება

რურის საკითხში საფრანგეთი და გერმანია ვერ შეთანხმდენ

მოლაპარაკება რურის ევაკუაციის შესახებ შეწყდა

გერმანიის მთავრობამ მოიწონა მარქსის და შტრეზემანის პოზიცია

მაკდონალდი ცდილობს დაითანხმოს ორივე მხარე დათმობებზე

კრიტიკული მდგომარეობა

ჩიხში

ბერლინი 14 აგვისტო. მოლაპარაკებამ რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ მიაღწია გუშინ კრიტიკულ მომენტს, ვინაიდან გერმანიის რწმუნებულმა სამი საათის მოლაპარაკების შემდეგ გადაჭრით უარი უთხრა ერიოს თავის მოთხოვნაზე, რომ საფრანგეთის ჯარები დარჩენ რურში კიდევ არა უმცირეს ერთი წლისა.

მაკდონალდს აცნობეს

ბერლინი 14 აგვისტო. კანცლერმა მარქსმა აცნობა მაკდონალდს ფრანგებთან მოლაპარაკების უნაყოფობის შესახებ და განუცხადა, რომ ის არ გადასდგამს შემდეგ ნაბიჯებს, სანამ არ დაეკითხება პრეზიდენტ ებერტს.

მდგომარეობა მეტად კრიტიკულია

ლონდონი 14 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს კანცლერმა მარქსმა აშკარად განაცხადა, რომ მდგომარეობა მეტად კრიტიკულია, ვინაიდან რურის ევაკუაცია წარმოადგენს გერმანიისათვის სასიცოცხლო საკითხს.

შუამავლები

ლონდონი 14 აგვისტო. ბრიტანეთიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, იტალიის და ამერიკის დელეგატები გამოვიდენ შუამავლებად ფრანგებსა და გერმანელებს შორის.

„მორალური" მშვიდობიანობა

პარიზი 14 აგვისტო. მარქსთან მოლაპარაკების დროს ერიომ განაცხადა, რომ ის მისწრაფვის ისეთ „მორალურ მშვიდობიანობისაკენ" გერმანიასთან, რომელიც დამყარებული უნდა იყოს „ურთიერთ ნდობაზე" საფრანგეთის პრემიერმა დასძინა, რომ გერმანელი დელეგატები უნდა ენდობოდენ მის დაპირებას, რომ ოკუპაციის ვადა შემცირებული იქნება, თუ პირობები ამას ხელს შეუწყობს.

გერმანიის პასუხის მოლოდინში

ბერლინი 14 აგვისტო. ლონდონში მოუთმენლად მოელიან გერმანიის მთავრობის პასუხს მარქსის შეკითხვაზე რურის ევაკუაციის შესახებ. მთელი დღევანდელი დღე მაკდონალდმა გაატარა ერრიოსთან და მარქსთან თათბირში; მაკდონალდი აცხადებს, რომ დაუშვებელია კონფერენციის ჩაშლა ისეთი, შედარებით, წვრილმანისათვის, როგორიც არის ევაკუაცია რამოდენიმე თვით ადრე თუ გვიან.

მრეწველების კარნახით

ბერლინი 14 აგვისტო. იუწყებიან, რომ ერრიოს მიერ მოულოდნელათ შეურიგებელი ხაზის აღება აიხსნება იმ ზეგავლენით, რომელსაც მასზე ახდენს დაინტერესებულ მრეწველების ჯგუფი, განსაკუთრებით ლუშერი.

ბანკირების კარნახით

ნაუენი. 15 აგვისტო. ლონდონის გავლენიანი წრეების ცნობით, ერიოს მიერ კატეგორიული უარის თქმა ოკუპაციის ვადის შემცირებაზე **გამოწვეულია ყოფილ ფინანსთა მინისტრის ლუშერის პარიზიდან ლონდონში ჩასვლით. უკანასკნელმა გადასცა ერიოს საფრანგეთის მრეწველების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მათ მონაწილეობას რურის მრეწველობის შემოსავალში 25-დან 30 პროცენტის რაოდენობით.**

ლუშერმა განუცხადა ერიოს, რომ დეპუტატთა პალატა არ მოიწონებს კონფერენციის არც ერთ დადგენილებას, სანამ საფრანგეთი არ მიიღებს მტკიცე გარანტიებს გერმანიის განიარაღების და თავისი საზღვრების უშიშროების შესახებ.

უშედეგოთ დამთავრებული შუამავლობა

უნაყოფო შუამავლობა.

ნაუენი. 15 აგვისტო. მაკდონალდის შუამავლობა ერრიოსა და შტრეზემანს შორის უშედეგოდ დამთავრდა. ერრიომ გადაჭრით განაცხადა, რომ რურის ოკუპაციის გაგრძელება კიდევ ერთი წლით —ეს ერთად-ერთი მინიმუმია, რომლის წარმოდგენა შეუძლია საფრანგეთის დელეგაციას. ერრიომ განაცხადა: **„ოკუპაცია საფრანგეთის ნაციონალური თავმოყვარეობის საკითხია. კონფერენცია იძულებული იქნება შესწყვიტოს თავისი მუშაობა და დელეგატები იძულებული იქნებიან მოემზადონ წასასვლელად იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის დელეგაცია არ მიიღებს ჩვენს მოთხოვნილებას.**

მაკდონალდთან თათბირზე, რომელიც 4 საათი გაგრძელდა, შტრეზემანმა განაცხადა, რომ **გერმანია მოითხოვს რურის სასწრაფოდ დაცლას.** შტრეზემანის სიტყვით, ის არაჩვეულებრივი სიმძიმე, რომელიც აწევება გერმანიის მარტო ექსპერტთა გეგმით, წარმოადგენს საკმაო ფასს, რომელსაც გერმანია იხდის თავისი ეკონომიური სუვერენიტეტის აღსადგენად რურის ოკუპაციის კიდევ ერთი წლით გაგრძელება საფრანგეთში აგდებს გერმანიის სესხის რეალიზაციას და ხელს უშლის მას თავის ეკონომიური კეთილდღეობის აღდგენაში; გერმანიის ეკონომიური აღდგენა კი —შეადგენს ექსპერტთა გეგმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

კომპრომისის ძებნაში

მოლაპარაკების კრიზისი

ნაუენი. 15 აგვისტო. გუშინ შესდგა საფრანგეთის, ბელგიის და გერმანიის დელეგაციების ახალი თათბირი რურის ევაკუაციის საკითხის შესახებ. შეთანხმება არ არის მიღწეული.

შემდეგ შესდგა ერრიოს და მაკდონალდის თათბირი, რომელზედაც გადაწყდა გაგრძელდეს მოლაპარაკება.

ნაუენი. 15 აგვისტო. „ტაიმს"-ის ცნობით, გუშინდელი მოლაპარაკების დროს ერრიომ წინადადება მისცა გერმანიის დელეგაციას დაერწმუნოს მის კატეგორიულ განცხადებას, რომ რურის ევაკუაცია მოხდება ერთი წლის განმავლობაში. საპასუხოდ კანცლერმა მარქსმა განუცხადა ერრიოს, რომ ის უსათუოდ ენდობა პრემიერის სიტყვას, მაგრამ მას არავითარი გარანტია არ აქვს იმისი, რომ ერრიო დარჩება ხელისუფლების სათავეში. შემდეგ მარქსმა აღნიშნა, რომ გერმანიის საზოგადოებრივი აზრი დაჟინებით მოითხოვს რურის ევაკუაციას 6 თვის განმავლობაში. ერრიომ არ მიიღო მარქსის ეს წინადადება.

ლონდონის პრესი მოითხოვს დაინიშნოს რურის ევაკუაციის დაწყების ვადათ 16 აპრილი, გერმანიის მიერ დოუესის გეგმის მიღების დღე. პრესის ანგარიშით, ევაკუაცია, ამ გვარად, უნდა დამთავრდეს 1925 წლის 16 აპრილს.

ამერიკის დელეგაციის განცხადება

ლონდონი. 15 აგვისტო. ამერიკის დელეგატებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ რურის ევაკუაციის საკითხში ისინი არ დაუჭერენ მხარს არც საფრანგეთის, არც გერმანიის თვალსაზრისს, არამედ დაიცავენ შემარიგებელ პოზიციას.

თათბირი იტალიის დელეგაციასთან

რომი. 15 აგვისტო. კანცლერ მარქსს და შტრეზემანს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდით იტალიის დელეგატებთან.

გერმანია არ სთმობს

გერმანიის მთავრობამ მოიწონა თავისი დელეგაციის პოზიცია

ნაუენი 15 აგვისტო. ბერლინში პრეზიდენტ ებერტის თავმჯდომარეობით შესდგა გერმანიის კაბინეტის საგანგებო სხდომა. კაბინეტის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი იმ პოზიციას, რომელიც უჭირავს გერმანიის დელეგაციას კონფერენციაზე რურის ევაკუაციის საკითხში; გერმანიის მთავრობამ უარჰყო ერიოს მოთხოვნილება რურის ოკუპაციის კიდევ ერთი წლით გაგრძელების შესახებ.

შეთანხმების იმედი არა აქვთ

ერრიო არ სთმობს.

ნაუენი. 16 აგვისტო. სხდომები, რომლებიც დანიშნული იყო გუშინ სხვა საკითხების გასარჩევად, გადადებული იქნა იმ მიზნით, რომ ეს დრო გამოეყენებიათ კომპრომისული გადაწყვეტილების მისაღებად ევაკუაციის საკითხის შესახებ. გუშინ გრძელდებოდა მოლაპარაკება, მაგრამ შეთანხმების მიღწევა საეჭვოა.

ლონდონიდან მიღებული ცნობით, მაკდონალდთან ხანგრძლივი თათბირის დროს, ერიომ კიდევ უფრო გადაჭრით დაიცვა ევაკუაციის ერთი წლის ვადა.

შტრეზემანმა განუცხადა ინგლისის პრემიერს, რომ გერმანიისათვის ეს ვადა მიუღებელია, რისთვისაც ის არ შეიძლება გა[illegible] იქნეს.

ნაუენი. 15 აგვისტო. როგორც ბერლინის პრესა იტყობინება, შტრეზემანმა თავის უკანასკნელ თათბირზე მაკდონალდთან მიუთითა შექმნილი მდგომარეობის მთელს სერიოზულობაზე და ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ **რურის ევაკუაცია უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ იმის შემდეგ, რომდესაც რეიხსტაგი მიიღებს ექსპერტთა გეგმასთან დაკავშირებულ კანონპროექტებს.**

„ყველაფერი რიგზეა"

ლონდონი. 15 აგვისტო. გაზეთების ცნობების მთელი რიგი კონფერენციის მუშაობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ერთი დღის განმავლობაში, აღნიშნავს გართულებულ ურთიერთობას საფრანგეთის და გერმანიის დელეგატებს შორის. ყველა ეს ცნობები სიმართლეს მოკლებულია. მოლაპარაკება მეგობრულად მიმდინარეობს.

მოლაპარაკება შეწყდა

ლონდონი, 15 აგვისტო. მოლაპარიკება და თათბირი ევაკუაციის საკითხის შესახებ შეწყდა, გერმანიის დელეგაცია დეპეშით დაეკითხა ბერლინს. მოლაპარაკება განახლდება გერმანიის მთავრობის პასუხის მიღების შემდეგ.

ულტიმატუმი გერმანიას?

ლონდონი. 15 აგვისტო. გუშინ დილით კონფერენციის ზოგიერთ წრეებში ლაპარაკობდენ, რომ მაკდონალდმა და კელოგმა, რომლებიც გადავიდენ ერიოს მხარეზე, თითქოს ულტიმატუმი გაუგზავნეს გერმანიის დელეგაციას.

უნიადაგოდ.

ლონდონი. 15 აგვისტო. ხმების მიხედვით ერიოს, ტენისის და მარქსის გუშინდელ თათბირზე ევაკუაციის საკითხის შესახებ თავი იჩინა დიდმა უთანხმოებამ მხარეებს შორის. აწეულ კილოთი დაწყებულმა მსჯელობამ საკითხის გარშემო შემდეგ საერთო ყვირილის ხასიათი მიიღო მხარეებში. უკვე აღარ ლაპარაკობდენ „დიპლომატიური"ენით.

მაკდონალდის ჩარევა

არ სცნეს საჭიროდ

რომი. 15 აგვისტო. ლონდონის კონფერენციაზე დელეგატები უცდიან საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების დასრულებას. იტყობინებიან, რომ თითქოს მოლაპარაკება უკვე განახლდა მაკდონალდის უშუალო მონაწილეობით.

რომი. 15 აგვისტო. გარანტიები, რომლებიც წარადგინა ინგლისის დელეგაციამ საფრანგეთის უშიშროების და მოკავშირეთა ვალების საკითხების შესახებ, ცნობილი იქნა არა საკმაოდ.

კონფერენციასთან ახლო მდგომ წრეებში შეიქნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთის დელეგაცია ამ ჟამად ცდილობს მოახერხოს მაქსიმალური ეკონომიური კომპენსაციის მიღება გერმანიის მთავრობისაგან რურის ევაკუაციისათვის.

საფრანგეთის სურვილის—შეტანილ იქნეს გერმანიასთან დასადებ კომერციულ ხელშეკრულებაში მუხლი საფრანგეთის „უდიდესი უპირატესობის" შესახებ—სასტიკად ეწინააღმდეგებიან როგორც გერმანია, ისე მოკავშირეები.

აღშფოთება გერმანიაში

გერმანიის პრესის განგაში

ბერლინი, 13 აგვისტო. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნებენ თვალყურს საფრანგეთ-ბელგია-გერმანიის მოლაპარაკებას ლონდონში. ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად სთვლიან საკითხს რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ. ფიქრობენ, რომ ერრიო უკიდურეს შემთხვევაში დასთანხმდება მოახდინოს რურის ევაკუაცია 8 თვის შემდეგ. მაგრამ ასეთი წინადადებაც არ მიაჩნიათ დამაკმაყოფილებლად მემარჯვენე პრესას და შტრეზემანის გაზ. „ცეიტს". გერმანიის პოლიტიკური წრეები ჩააფიქრა მთელ რიგ გარემოებებმა, კერძოთ ამნისტიის, რურში საფრანგეთ-ბელგიის რკინისგზელების დატოვების და ნატურით მიწოდების საკითხებმა. მემარჯვენე და ოპოზიციონური პრესა აღშფოთებას გამოსთქვამენ ლონდონში გერმანიის მდგომარეობის გაუარესების გამო.

„ლოკალ ანცეიგერი" აღშფოთებით აღნუსხავს საფრანგეთის მთელ რიგ მოთხოვნილებებს, როგორც მაგ. დროებითი კანტროლი, სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ქიმიურ ნივთიერებათა მიწოდებას და ცალმხრივ პირობას „უპირატესობის" შესახებ, და ბოლოს საფრანგეთის მონაწილეობა რურის სამთამადნო მრეწველობაში საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის სურვილების მიხედვით. ამ გაუარესებაში გაზეთი ბრალს სდებს გერმანიის დელეგაციას და აღნიშნავს, რომ იგი არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. „უკეთესი იქნებოდა, ამბობს „ლოკალ ანცეიგერი", დიდი ხნით გადაგვედო მნიშვნელოვან საკითხების განხილვა ვიდრე გადაგვეჭრა იგი ეხლავე მოწინააღმდეგეთა ზეგავლენით".

პრესა კონფერენც. შესახებ

გერმანიის პრესა

პარიზი. 15 აგვისტო. ბერლინიდან მიღებული ცნობით, გერმანიის პრესა ერთსულოვნად უარჰყოფს საფრანგეთის პროექტს რურის ევაკუაციის შესახებ: პრესა წინასწარმეტყველობს, რომ რეიხსტაგი არ შეუდგება ექსპერტთა გეგმის განხორციელებას, თუ ამას არ მოჰყვება დაუყონებლივ რურის ევაკუაცია. პრესა ხაზს უსვამს, რომ გართულება გამოწვეულია საფრანგეთის დელეგაციის შეურიგებლობით.

„ლოკალ ანცეიგერ" ამბობს, რომ გერმანიის დელეგაცია დაჰკარგავს თავისი ქვეყნის ნდობას, თუ დათმობაზე წავა ევაკუაციის საკითხში.

„ბერლინერ ტაგებლატ" ამბობს, რომ ევაკუაცია უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1925 წ. 10 იანვრისა.

საფრანგეთის პრესა

პარიზი. 15 აგვისტო. „ერ ნუველ" ულოცავს ერიოს გამარჯვებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მან თავი მოუყარა საფრანგეთის თავმოყვარეობის საკითხის გარშემო ქვეყნის ყველა ნამდვილ ძალებს. „ევრ" ამბობს: „ეხლა გერმანიის შეუძლია დარწმუნდეს, რომ საფრანგეთის პოზიცია მიუდგომელია".

ნაუენი. 15 აგვისტო. „მატენ" და „პტი ჟურნალ" ხაზს უსვამენ, რომ საფრანგეთმა თავის დათმობებში მიაღწია იმ საზღვარს, რომლის იქით წასვლა აღარ შეუძლია.

„ევრ ნუველ"-ს იმედი აქვს შეთანხმების, სცნობს რა გერმანიის „კეთილ სურვილს".

ინგლისის პრესა.

ნაუენი. 15 აგვისტო. ლონდონის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მოლაპარაკების უეცრად შეფერხებას, რომელიც გამოწვეულია საფრანგეთ-გერმანიის უთანხმოებით ევაკუაციის საკითხში.

„დეილი ჰეროლდ"-იც ამგვარ აზრს გამოსთქვამს და უერთდება მარქსის სიტყვებს, რომელმაც კონფერენციაზე განაცხადა, რომ გერმანიის დელეგაციამ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, კონფერენციის მიერ დასახულ მიზნების მისაღწევად.

საბჭოთა კავშირის და ინგლისის შეთანხმების შემდეგ

შეთანხმება ინგლის-საბჭოთა კავშირის მუშების უდიდესი გამარჯვებაა

შეთანხმების მნიშვნელობა აღმოსავლეთის ერებისათვის

ინგლისის რეაქციონერები ილაშქრებენ ხელშეკრულების წინააღმდეგ

მოლაპარაკების მთავარი მიღწევა

საუბარი ამხ. კუტუზოვთან

როგორ პირობებში უხდებოდა მუშაობა ჩვენს დელეგაციას

მოსკოვი. 15 აგვისტო. საბჭოთა დელეგაციის წევრმა ლონდონში ამხ. კუტუზოვმა „როსტას" წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩვენი დელეგაციის მუშაობის შესახებ ლონდონში სთქვა: „კონსერვატიული პრესის გაბოროტებული გამოსვლები ჩვენი ჩასვლის მომენტიდან, ბანკირების მემორანდუმი ჩვენ მიმართ, თემთა პალატაში კონსერვატორების ყოველდღიური გამოსვლები, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მოლაპარაკებისათვის, ყველაფერ ამას შეეძლო გამოუცდელ ადამიანების სასოწარკვეთილებაში ჩაგდება. რაც შეეხება ლიბერალების დამოკიდებულებას ჩვენ მიმართ, **ისინი ძალაუნებურად ილიმებოდნენ და გვიპატიჟებდნენ ჩვენ სტუმრად** ვინაიდან მასების უბრალო „ობივატელების" განწყობილება მუდამ ჩვენ მხარეზე იყო. სადაც არ უნდა შევხვედროდით მასებს, ქუჩებში, ტრამვაიში, თუ მაღაზიებში, ყველგან ვგრძნობდით მათ სიმპატიას ჩვენ მიმართ. რაც შეეხება ინგლისის მუშებს, მთელ მოლაპარაკების განმავლობაში, განსაკუთრებით მძიმე მომენტებში, **ჩვენ ვგრძნობდით ზურგს უკან მათ ძალას და ვიცოდით, რომ ჩვენ მარტონი არ ვართ. მუშათა მასების ასეთ განწყობილებას ანგარიში გაუწიეს მათმა ხელმძღვანელებმა.** მოლაპარაკების დროს ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ორივე ქვეყნის მუშათა მასების დაახლოვება".

ორი ქვეყნის მუშათა გამარჯვება

საუბარი ინგლისის მუშათა პარტიის წევრთან

მოსკოვი. 15 აგვისტო. ამ დღეებში მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის მუშათა პარტიის და პარლამენტის წევრი სიუზანა ლაურენსი, რომელმაც „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, რათა გაეცნოს განათლების საქმეს. განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში და მუშათა კლუბების და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მუშაობას, რაც შეეხება ინგლისის მუშათა პარტიის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი, ლაურენსმა განაცხადა, რომ ცნობას ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შესახებ, პარტია განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდა.

„მრავალ წლების განმავლობაში, ამბობს ლაურენსი—ჩვენ აგიტაციას ვეწეოდით ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრულ და საქმიან ურთიერთობის დამყარების სასარგებლოდ, ვინაიდან ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ ორივე ქვეყნის მუშები ბევრს მოიგებდნენ ასეთი ურთიერთობის დამყარებით".

ერთა ლიგაში გვეპატიჟებიან

გაზ. „ეპოქა"-ს წერილი

რომი. 13 აგვისტო. ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების გამო გაზეთი „ეპოქა" (იტალია) სწერს: „ამ ხელშეკრულების დადებას და საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის მოლაპარაკებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, არა მარტო თავის თავად, არამედ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების გამო. თუ მაკდონალდი და ერრიო დაარწმუნებენ ჩიჩერინს ერთა ლიგის სარგებლიანობაში, სექტემბერში მოწვეული ლიგის სესია აღნიშნავს ახალ თარიღს მსოფლიო ისტორიაში".

შეთანხმება და აღმოსავლეთი

ბუხარის წარმომადგენლის განცხადება

მოსკოვი 15 აგვისტო. ბუხარას სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იუსუფ-ზადემ „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა, **რომ საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვება შორის ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადება უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ მნიშვნელობის მოვლენად. აღმოსავლეთის ერები ნაციონალურ-პოლიტიკურ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ყოველთვის სთვლიდნენ ინგლისს ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ**, ვინაიდან მისი კოლონიალურ პოლიტიკას ახასიათებდა სიმტკიცე და თანმიმდევრობა.

როდესაც აღმოსავლეთის ქვეყნებს მიაღწევს ცნობა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ, იგი გამოიწვევს აღტაცებას და საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიები კიდევ უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება.

აღმოსავლეთის ხალხები გაიგებენ, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა ნიშნავს **იმ ქვეყნის ცნობას, რომელიც მოუწოდებს აღმოსავლეთის ხალხს იმპერიალიზმის კლანჭებიდან განთავისუფლებისაკენ.**

განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოიწვევს ხელშეკრულება ბუხარაში, სადაც მშრომელები ცხოვრობენ ძველ სავაჭრო გზების მახლობლად აღმოსავლეთის ქვეყნების—ავღანისტანის, ინდოეთის, სპარსეთის და ჩინეთის მეზობლად, სადაც ლენინის თქმით შეიქმნება აღმოსავლეთის **ყველა ხალხთა შორის და ძმობის პირველი საბჭოთა რესპუბლიკა.**

კონსერვატორების იერიში

კონსერვატიული პრესის თავდასხმა გრძელდება.

ლონდონი. 13 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი" და „დეილი მეილი" განაგრძობენ თავდასხმას ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზე.

„დეილი ტელეგრაფი" აცხადებს, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს კაპიტულიაციას კომუნიზმის წინაშე. გაზეთი სწერს:

„საბჭოთა მთავრობამ კონფისკაცია უყო მთელ კერძო საკუთრებას რუსეთში, მაგრამ ის მაინც წინადადებას აძლევს ინგლისელებს, რომელთაც სურთ თავიანთი კაპიტალის დაბანდება რომელიმე ქვეყანაში, რათა მათ გადასცენ თავიანთი დოლარი იმ მთავრობის განკარგულებაში, რომელმაც უკვე ერთხელ გაძარცვა თავისი კრედიტორები. რა გარანტია აქვს რომელიმე კრედიტორს იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა მოექცევა მას სხვანაირად ვიდრე მოექცა სხვებს. რომელთაც გასცეს სესხი რუსეთში და რომელთა კაპიტალები კონფისკაცია ქმნილად იქნა გამოცხადებული: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სესხის ერთი ნაწილი მოხმარდება ჩვენ თანამემამულეთა პრეტენზიების დაკმაყოფილებას, ხოლო ნაწილით შეძენილი იქნება ინგლისური საქონელი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ამ სესხის ნახევარი გამოყენებული იქნება კაპიტალიზმის წინააღმდეგ კომუნისტურ ომის გასაგრძელებლად. სესხის ობლიგაციების ხელის მომწერლები ალავსებენ თავიანთი ფულებით შეუბრალებელ მტრის სკივრებს, რომელიც განაგრძობს თავის კამპანიას, როგორც აქ, ისე ბრიტანეთის იმპერიის სხვა ნაწილში".

„დეილი მეილის" მოწინავე წერილში, რომელიც დაწერილია ისტერიული კილოთი, ნათქვამია:

„კომუნისტებმა აიძულეს მაკდონალდი არაჩვეულებრივი სიმძიმით დაეტვირთა ინგლისელი გადამხდელები და მრეწველები უცხო რევოლუციონერების სასარგებლოთ, რომლებიც სცდილობენ ბრიტანეთის იმპერიის დამხობას. რუსეთის ტირანებს ფულები ეძლევათ ყოველგვარ უზრუნველყოფის გარეშე. ეს ფულები ასეთსავე წარმატებით შეიძლებოდა გადაგვეყარა მდინარე ტემზაში. არც ერთი სალათ მოაზროვნე ბანკირი ხელს არ ახლებს ასეთ სესხს და ტრედიუნიონების წევრები, რა თქმა უნდა, ნებას არ მისცემენ, რათა მათმა წინამძღოლებმა ტრედიუნიონების ფულები დააბანდონ ამ ოპერაციაში. ბრიტანეთის საზოგადოება ბოიკოტს გამოუცხადებს სესხს და, რა თქმა უნდა, გაიტანს თავის თანხებს იმ ბანკებიდან, რომლებიც მხარს დაუჭერენ სესხს".

„მორნინგ პოსტ" მოჰყავს ციტატა დემიან ბედნის ლექსიდან რომელიც დაბეჭდილია „პრავდას" 5 აგვისტოს ნომერში. ამ ლექსში ავტორი ომის ათის წლის თავზე წინასწარმეტყველებს: „საერთაშორისო ბურჟუაზია ლონდონში შეკრებილ ბანკირების და მაკდონალდის ტიპის სოციალისტების სახით „ჩამოხრჩობილი იქნება ფანარის ბოძებზე".

პრესა შეთანხმების შესახებ

ოსმალეთის პრესის აზრი

ანგორა. 13 აგვისტო. უკეთეს რა კომენტარიებს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ხელის მოწერას „ენი გიური" სწერს.

„**საბჭოთა კავშირის სახით საერთაშორისო პოლიტიკაში შევიდა ახალი ფაქტორი, რომელსაც ევროპამ და განსაკუთრებით, აღმოსავლეთის ხალხებმა უნდა გაუწიონ სერიოზული ანგარიში.** ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის. საბჭოთა კავშირის შესვლა დიდ სახელმწიფოების ჯგუფში, უეჭველად იქონიებს გავლენას ევროპის ბევრ საქმეებზე.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორია და ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთში გადააქცევს შეთანხმებას უფრო ნამდვილ და ცოცხალ ფაქტორად აღმოსავლეთის პოლიტიკაში. დღეს რომ რუსეთში არ ყოფილიყო ოსმალეთთან მეგობრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლება, და რომ რუსეთში ყოფილიყო ხელისუფლება ერთგულ მეფის ტრადიციებისადმი, მაშინ შეთანხმებას არ შეეძლო არ გამოეწვია მღელვარება ოსმალეთა შორის. ინგლისში ძალა-უფლება მუშათა პარტიის ხელშია, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მიღწევას. მაგრამ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, **რომ მაკდონალდის მთავრობა აღმოსავლეთის პოლიტიკაში განაგრძობს კერზონის ტრადიციებს. საბჭოთა მთავრობა კი ნდობას იწვევს ჩვენში და ამიტომ ჩვენთვის სასარგებლოთ შეგვიძლია ჩავთვალოთ ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება**".

გაზეთი „ჯუმჰურიეთი" ფიქრობს, რომ ინგლისის პარლამენტის უმრავლესობა წინააღმდეგია შეთანხმების და რომ მუშათა პარტია ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხში უცირესობაში დარჩება.

გაზეთი „ტევჰიტი" სწერს: უეჭველია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ევროპა გადადის ახალ ხანაში. ამ შეთანხმების შემდეგ ინგლისი შეინარჩუნებს ბატონობას ზღვაზე და ყოველ ღონეს იხმარს, რათა გახდეს ბრძანებლად ევროპაში.

იარაღს აწვდის რა ბალკანეთის სახელმწიფოებს საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ, ინგლისი ამავე დროს დამშვიდებული სინიდისით, მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირთან.

გაზეთი „ვაკიტ" ფიქრობს, რომ ნაადრევია ლაპარაკი იმაზე, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირს ხელშეკრულება გავლენას მოახდენს აღმოსავლეთის პოლიტიკაზე.

ჩვენ და უცხოეთი

მექსიკა

ურთიერთობის განახლება მექსიკასთან.

პარიზი. 14 აგვისტო. აღდგენილია დიპლომატიური ურთიერთობა მექსიკასა და საბჭოთა კავშირს შორის. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად მექსიკაში დანიშნულია პესტკოვსკი, ხოლო მექსიკის წარმომადგენლად მოსკოვის მთავრობასთან დანიშნულია მექსიკის ელჩი ნორვეგიაში—პროფესორი ვადილო.

გერმანია

გერმანელი პროფესორი საბჭოთა კავშირის შესახებ.

ოდესა. 15 აგვისტო. „რატაუ"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს ოდესაში ჩამოსულმა ჰანოვერის ეკონომიური გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ობსტმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილების მოვლის შემდეგ მან მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, **რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყველგან ქვეყანა მიიყვანა სამეურნეო-ეკონომიურ და კულტურულ პროგრესამდე.**

საფრანგეთი

დაახლოება საბჭოთა კავშირთან

მოსკოვი. 15 აგვისტო. „საბჭოთა კავშირის მეგობართა" საფრანგეთის საზოგადოებამ აცნობა ჯანმრთელობის სახალხო კომისარს ამხ. სემაშკოს, **რომ ის შეუდგა პარიზში საფრანგეთ-რუსეთის საექიმო ჟურნალის გამოცემას, რამაც უფრო უნდა განამტკიცოს საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის სამეცნიერო კავშირი.**

საბჭოთა კავშირის ცნობის მოლოდინში.

პარიზი. 14 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცნობის მოლოდინში, საფრანგეთის რეაქციონურმა პრესამ უკვე დაიწყო კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რეაქციონური „ეკო დე პარი" აქვეყნებს სტოკჰოლმის კორესპონდენტის სერჟ დე შასსენის (გაზეთ „ვრემიას" ყოფილი თანამშრომელი) წერილს, რომელიც ამტკიცებს, რომ შეუძლებელია საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება.

„მატენი" სცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ტურქესტანში ქმნის ძლიერ ბაზას ანტი-ინგლისურ პოლიტიკის საწარმოებლად.

შვეცია

ჩვენი სრულუფლებიან წარმომადგენლობის საჩივარი

სტოკჰოლმი. 15 აგვისტო. სტოკჰოლმის სასამართლოში დაიწყო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მიერ აღძრულ საჩივრის განხილვა შვეციის მოქალაქის ერიქსონის მიერ (არა ტელეფონების ფირმის მეთაური ერიქსონი, როგორც იუწყებოდნენ), შვეციასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1919 წ. ურთიერთობის შეწყვეტის დროს, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის სახლის მითვისების შესახებ. საჩივარს იცავს ადვოკატი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ლევ-გრენი. მოპასუხე თავს იმართლებდა იმით, რომ რუსეთის რევოლიუციის დროს მას მოუვიდა 800.000 კრონის ზარალი. ლევ-გრენი მოითხოვს სახლის დაბრუნებას საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობისათვის. საქმე გადაიდო სექტემბრამდე.

შვეიცარია

საბჭოთა მოქალაქეებისათვის შესვლა აკრძალულია

ბერლინი. 13 აგვისტო. „ფოსიშე ცეიტუნგის" ცნობით შვეიცარიის საკავშირო საბჭომ მოახდინა განკარგულება საბჭოთა მოქალაქეებისათვის საბჭოთა კავშირში შესვლის შესახებ. შვეიცარიის საელჩოს ბერლინში არ მიუღია ამ ცნობის დადასტურება.

სამხრეთ-სლავია

გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება

ვენა. 12 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკუპშტინაში განაცხადა, რომ მთავრობა გულწრფელად ეცდება აღადგინოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ვინაიდან ამას მოითხოვს მთელი ხალხის სურვილი.

ტრანსპორტის მუშათა რევოლიუციონური კავშირების კონგრესი

ჰამბურგი. 13 აგვისტო. გაიხსნა ტრანსპორტის მუშათა რევოლიუციონურ პროფკავშირების საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე მონაწილეობას იღებენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, საბჭოთა კავშირის, იტალიის, ჰოლანდიის, სკანდინავიის სახელმწიფოების, ჩეხოსლოვაკიის, საბერძნეთის, ამერიკის, ფინეთის, შვეიცარიის, ჩინეთის და იავის წარმომადგენლები. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის მოხსენება, საერთაშორისო მოძრაობის საკითხები, ტრანსპორტის მუშები და რევოლიუციონურ ტრანსპორტელების ამოცანები და საკითხები ერთიანი ფრონტის შესახებ.

საპროპაგანდო კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა შახნოვსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგიერთი ქვეყნები არასაკმაო დახმარებას უწევენ კომიტეტს. შახნოვსკიმ აღნიშნა აგრეთვე, რომ სანავთსადგურო ქალაქებში კომიტეტის განსაკუთრებულ ბიუროების დაარსებამ საგრძნობლად ხელი შეუწყო ტრანსპორტელების რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებას, განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში.

კამათის დროს შახნოვსკიმ სასტიკად გააკრიტიკა ამსტერდამის ინტერნაციონალი და დოუსის გეგმა და აუცილებლად სცნო ტრანსპორტელების ერთიანი მებრძოლი ინტერნაციონალის არსებობა. შახნოვსკიმ გაიზიარა პროფინტერნის მესამე კონგრესის რეზოლიუცია და განაცხადა, რომ საბჭოთა პროფკავშირები გულწრფელად მზად არიან აღადგინონ ამსტერდამელებთან ერთად საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობა.

პოლონეთის ციხეებში

საშუალო საუკუნოების ინკვიზიცია

ხარკოვი. 15 აგვისტო. „სრულიად უკრაინის ცაკის უწყებები", დოკუმენტალურ ცნობების და მრავალ მოწმეების ჩვენებების მიხედვით, იტყობინება იმ საშინელი თეთრი ტერორის შესახებ, რომელიც გამეფებულია პოლონეთის ეროვნულ უმცირესობების წინააღმდეგ. უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციის დღიდან, მთელ დასავლეთ უკრაინაში გამეფდა უსასტიკესი ტერორი. დააპატიმრეს უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცკას წევრთა და უკრაინულ ორგანიზაციების აქტიურ მუშაკების მეტი ნაწილი. პოლიტიკური პატიმარი, სანამ ის ციხეში მოხვდებოდეს, იტანს მრავალ წამებას და დამცირებას. **პირველ ყოვლისა დაპატიმრებულს გზავნიან ადგილობრივ საპოლიციო უბანში, სადაც მას საშინლად აწამებენ და სცემენ პოლიციელები.**

—**სცემენ თოფების კონდახით, გაზებით და სპეციალური როზგებით. ადგილი აქვს აგრეთვე ელექტრონით წამებას, დაპატიმრებულს სხეულზე მიადებენ გახურებულ რკინას.** პოლიტიკურ პატიმრებს ათავსებენ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან და გადამდები სნეულებებით დაავადმყოფებულებთან ერთად. **დაპატიმრებულები სხედან ციხეში წლობით საბრალმდებლო ოქმის წარუდგენლად. პოლიტიკურ პატიმართა სიმშილობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.** ლვოვის ციხეში სიმშილობის გამო გარდაიცვალა ცნობილი უკრაინელი სოციალ-დემოკრატი ვიქტორ კოვალსკი. პოლიტიკურ პატიმრებს უხდებათ აუცილებელი ბრძოლის წარმოება ელემენტარულ უფლებებისათვის, მინიმალურ ჰიგიენისა და საჭმელის გაუმჯობესებისათვის. **პრინციპად არის მიღებული პოლიტიკურ პატიმრების სიმშილით ამოხოცვა.**

მათ რომ დახმარებას არ უწევდეს პოლონეთის პოლიტიკურ პატიმართა დამხმარე კომიტეტი, პოლიტიკურ პატიმართა სიკვდილის შემთხვევები უსაზღვროთ გახშირდებოდა.

რა ხდება ბულგარეთში

ცანკოვის პროვოკაციული გეგმა

ვენა. 13 აგვისტო. მიღებული ცნობების მიხედვით, ცანკოვის მთავრობას განზრახული აქვს, შარშანდელად მასიურდ დაპატიმრების დროს ხელში ჩაგდებულ გლეხთა პარტიის წევრების და კომუნისტების გაქცევის გზით გამოიწვიოს ნაადრევი მღელვარება მასებში და მოსპოს ოპოზიციის უფრო აქტიური ელემენტები, დაანგრიოს ამ გაძლიერებული მღელვარების ბუდე, სანამ მოხდებოდეს რევოლიუციონერების ერთიანი ფრონტის შექმნა. ამის გამო ბულგარეთის მთავრობის პრესა ავრცელებს ხმებს, რომ კომუნისტები და გლეხთა პარტია ამზადებდნენ აგვისტოში აჯანყებას. ამ ცნობებმა უნდა გაამართლოს მთავრობის ტერორის მოსალოდნელი გამწვავება. ამასთან ერთად ცანკოვის მთავრობა უცხოეთის გაზეთებშიაც აძლიერებს კამპანიას ბოლშევიკების მუშობის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს გაჩაღებულია ბალკანეთში, განსაკუთრებით ბულგარეთში. მთავრობა ცდილობს განამტკიცოს თავისი ძალები არმიაში მოხალისეების ჩაბმით, მეორეს მხრით ბურჟუაზიული ერთიანი ფრონტი ძლიერდება მთავრობის ბლოკთან იმ ნაციონალისტების შეერთებით, რომლებიც წინათ ოპოზიციაში იყვნენ მემარჯვენეების მხრივ. ამ ღონისძიებებზე დამყარებით ცანკოვი ცდილობს მახვილი ჩასცეს ოპოზიციონურ პარტიებს, სანამ ისინი საბოლოოდ შეკავშირდებოდნენ.

ძლიერდება პარტიზანული გამოსვლები.

ვენა. 13 აგვისტო. ბულგარეთში ხშირდება პარტიზანულ რაზმების გამოსვლები პლევნის ოლქში პარტიზანები თავს დაესხნენ სოფელს, პარტიზანელებმა განაიარაღეს მცველები და მოჰკლეს სასოფლო თემის თავმჯდომარე. პოლიცია და ჯარები დაედევნენ პარტიზანელებს.

ხმებს უარყოფენ.

რომი. 13 აგვისტო. ბულგარეთიდან მიღებული ოფიციალური ცნობები აბათილებს ხმებს ქვეყანაში საალყო წესების გამოცხადების და რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდის შესახებ.

ჩინეთის ამბები

7 სექტემბერი გლოვის დღეა ჩინეთში

პეკინი. 13 აგვისტო. იმპერიალისტების მოწინააღმდეგეების პეკინის კავშირმა გაუგზავნა პარლამენტის, მუშების, სტუდენტების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და გაზეთებს დეპეშა, რომელშიაც მოუწოდებს მათ აღნიშნონ 7 სექტემბერი, როგორც ჩინეთის ხალხის შეურაცყოფის დღე, ვინაიდან 7 სექტემბერს 1901 წელს დადებულ იქნა (გა[illegible])...

ერთი კვირა 3-დან 9 სექტემბრამდე მიძღვნილი უნდა იყოს იმპერიალიზმის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის.

7 სექტემბერს სკოლებში და წარმოებებში უნდა შეწყდეს მუშაობა. დროშები ნახევრად დახრილი უნდა იყოს, ეროვნული გლოვის ნიშნად.

„დავან ბაო" სწერს: „7 სექტემბერს უცხოეთის იმპერიალიზმი ღრმად შეიჭრა ჩინეთში. **დიპლომატიური კორპუსი ამ დღიდან იქცა ჩინეთის მთავრობად.**

უცხოელებმა დაიკავეს ხაზ[illegible]. ჩინეთს დაადვეს აუარებელი კონტრიბუცია მილიარდ დოლარის ოდენობით". სთვლის რა 7 სექტემბერს შეურაცყოფის დღეთ, გაზეთი მოითხოვს არ გამოუშვან გაზეთები ამ დღეს.

გაფიცულთა გამარჯვება.

პეკინი. 13 აგვისტო. გაფიცვა კანტონში ახლო მომავალში უნდა დასრულდეს. შუამავლად საგაფიცვო კომიტეტსა და უცხოეთის ხელისუფლებას შორის გამოდის სუნ-იატ-სენი. **უცხოეთის ფირმები თანახმა არიან მიიღონ გაფიცული პოლიციელები კერძო სამსახურში. გაფიცულთ ყველა მოთხოვნილებებს ღებულობენ კონსულები, რომლებიც მოითხოვენ ჩინელების მხრივ სიტყვიერ დაპირებას, რომ შესწყვეტენ საერთო გამოსვლას უცხოელების წინააღმდეგ. უქმდება ხელშეკრულება, რომელმაც გამოიწვია გაფიცვა.**

ფრანგები ბატონობენ

პეკინი. 14 აგვისტო. პეკინის საგარეოს სამმართველომ მიიღო სუნ ჩოუდან ცნობა, რომ საფრანგეთის გემმა, რომელიც შემოვიდა ნავთსადგურში, არ დაუშვა ადგილობრივი ხელისუფლება გემის დასათვალიერებლად. **კაპიტანმა სცემა საბაჟოს მოხელეს.**

აშკარა ძარცვა

პეკინი. 14 აგვისტო. ჩინეთის 600 სტუდენტი დარჩა შანხაიში, რადგანაც ამერიკის სანაოსნო კომპანიამ უარი უთხრა მათ გადაყვანაზე, ახალი საემიგრაციო კანონის გამო. სანაოსნო კამპანია არ აძლევს მათ უკანვე ბილეთის ფასს, ამერიკის ელჩი ჯი[illegible] სავიზო გადასახადს პასპორტებისათვის.

კომუნისტ რედაქტორის გამართლება

კემპბელი გამართლებულია მუშების ზეგავლენით

ლონდონი. 13 აგვის. ინგლისურ კომუნისტური ყოველკვირ. გაზ. „უორკერს უიკლის" რედაქტორის კემპბელის საქმის განხილვის დროს პროკურორმა განაცხადა, რომ ის სთვლის გაზეთში მოთავსებულ წერილს (რომლის გამო აღძრულია ეს საქმე) მხოლოდ მსჯელობად გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარების გაყვანის საკითხზე, და ეს წერილი სრულიადაც არ შეიძლება ჩაითვალოს წინასწარ განზრახულ ცდათ გამოიწვიოს ჯარებში დისციპლინის დარღვევა. ამის გამო პროკურორმა უარი სთქვა ბრალდებაზე.

ამ საქმეში მთავრობის პოზიციის მოულოდნელი შეცვლა შედეგად მოჰყვა მუშათა პარტიის მემარცხენე ელემენტების გამარჯვებას და მთელი ქვეყნის მუშათა პროტესტებს.

სხვა და სხვა ამბები

— **ვერცხლის ფული გერმანიაში.** გერმანიის მთავრობამ შეერთებულ შტატებს დაუკვეთა 2.700.000 დოლარის ვერცხლის ფული.

— **გაფიცვა გრძელდება.** გავრის (საფრანგეთშია) მეზღვაურთა გაფიცვა გრძელდება. გაფიცულებმა სცემეს მუნიციპალიტეტის მრჩეველს ქანტენს.

— **რუმინეთი და უნგრეთი.** უნგრეთის მთავრობა რუმინეთისგან მოითხოვს 500 მილიონ კრონს 1918 წ. ოკუპაციით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლათ.

— **ესპანელების დამარცხება.** აჯანყებულმა ტომებმა მაროკოში დაიჭირეს ყველა სტრატეგიული პუნქტები. ესპანეთის ჯარების მდგომარეობა კრიტიკულია.

— **ესპანეთი ჯარებს გზავნის.** მაროკოში ესპანეთის ჯარებისათვის შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამო ესპანეთის დირექტორია ახალ ჯარებს გზავნის მაროკოში.

— **ინგლისელებს თხოვენ დახმარებას.** ესპანეთის მთავრობა ინგლისის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილ სერიოზულ მდგომარეობაზე.

— **აჯანყება სუდანში.** სუდანში (აფრიკა) მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ იზრდება. სუდანის ნავთსადგურში გაიმართა დემონსტრაციები ინგლისელების წინააღმდეგ.

— **მღელვარება შეწყდა?** რეიტერის სააგენტოს თანამშრომელი სუდანიდან იუწყება, რომ იქ მღელვარება შეწყდა.

— **5.000 კაცის დაპატიმრება.** გაზეთები იუწყებიან, რომ ვარშავაში დაატუსაღეს კომკავშირელები. უკანასკნელ ხანებში დააპატიმრეს 5000 მეტი კაცი.

— **დირექტორია განსაცდელშია.** გაზეთების ცნობით, მაროკოში შექმნილი მდგომარეობის გამო ესპანეთის დირექტორიის მდგომარეობა კრიტიკულია. დღე-დღეზე მოელიან მის გადადგომას.

— **მაკდონალდი ჟენევაში.** მაკდონალდი აგვისტოს დამლევს ჟენევაში მიემგზავრება.

— **სუდანში მდგომარეობა კრიტიკულია.** ინგლისის უმაღლესი კომისარი ეგვიპტეში მარშალი ალლენბი ატყობინებს მაკდონალდს, რომ სუდანში კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს სუდანში კრეისერი.

— **აჯანყება მთელ ჩრ. აფრიკას ედება.** ლონდონის გაზეთების ცნობით მთელს ჩრდილოეთ-აფრიკაში აჯანყებაა, მოსალოდნელი.

— **გადატრიალების ცდა.** ლისაბონიდან (პორტუგალია) მიღებული ცნობით, მემარჯვენეები შეეცადნენ მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება მაგრამ დამარცხდნენ.

— **ხარტუმში.** ხარტუმში (ეგვიპტე) მომხდარი გამოსვლების დროს მოხდა დიდი შეტაკება ინგლისის ჯარებსა და მცხოვრებლებს შორის. არის მოკლულები და დაჭრილები.

— **კიდევ წყალდიდობა.** ჩრდილოეთ ჩინეთში ახალ დიდ წყალდიდობას ჰქონდა ადგილი. დაიღუპა 50.000 კაცი.

— **ოსმალეთი და ბულგარეთი.** ოსმალეთისა და ბულგარეთის შორის მოლაპარაკება შეწყდა. ოსმალეთის და ბულგარეთის დელეგატები ვერ შეთანხმდნენ ბულგარელ ლტოლვილების ოსმალეთის ფრაკიაში დაბრუნების საკითხში.

— **რადიჩის დაბრუნება.** ზაგრებში (ხორვატია—სამხრეთ-სლავიის შემადგენელი ნაწილია) დაბრუნდა ხორვატულ გლეხთა პარტიის ლიდერი რადიჩი, რომელსაც საზეიმო შეხვედრა გაუმართეს.

— **ფაშისტური „რევოლიუცია".** ფაშისტების ნაციონალურმა საბჭომ აირჩია 15-თა კომისია „ფაშისტური რევოლიუციის მონაპოვართა" დასაცავად.

— **აჯანყება გონდურასში.** გონდურასში (რესპუბლიკაა სამხრეთ-ამერიკაში) აჯანყება ხელახლა დაიწყო.

— **ინდოეთში.** ინდოეთის მთავრობა უძლურია ანტი-ინგლისური პროპაგანდის შეწყვეტაში. საქმეს ვერც რეპრესიული ზომები შველის. ანტი-ინგლისური მოძრაობა დღითი დღე ძლიერდება.

— **კრედიტზე უარი უთხრეს.** ინგლისის მთავრობამ საბოლოოთ უარი უთხრა რუმინეთს კრედიტების მიცემაზე.

— **მუშების დაპატიმრება.** ბუქარესტში (რუმინეთი) განსაკუთრებული მდგომარეობის გამოცხადების დღიდან დააპატიმრეს 250 მუშა.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეების და გერმანიის მოლაპარაკება

გერმანიის პასუხის მოლოდინში

ლონდონი. 15 აგვისტო. მოკავშირეთა კონფერენციის მუშაობა შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. [illegible] რამდენიმე მეორე ხარისხოვანი ტექნიკური საკითხი. ყველანი მოუთმენლად მოელიან გერმანიის მთავრობის პასუხს.

გერმანიის მთავრობის სხდომა

ლონდონი. 15 [illegible] გერმანიის [illegible] რობის სხდომა პრეზიდენტ ებერტის თავმჯდომარეობით. სხდომას ესწრებიან პარტიის ლიდერებიც.

მოკავშირეები მხარს უჭერენ ერრიოს

პარიზი. 15 აგვ. გაზ. „მატენ"-ის ცნობით, იტალიის და იაპონიის დელეგატები და აგრეთვე ამერიკის ელჩი კელლოგი მხარს უჭერენ ერრიოს მიერ რურის ევაკუაციისათვის წამოყენებულ ვადას.

„მეგობრული" რჩევა

ბერლინი. 15 აგვისტო. მაკდონალდი და კელლოგი ურჩევენ გერმანიას მიიღოს ერრიოს წინადადება.

ულტიმატუმების წინააღმდეგ

ბერლინი. 15 აგვისტო. ბერლინის პრესას იმედი გაუცრუა ლონდონის მოლაპარაკების მსვლელობამ. თვით ფრანკოფილური „ბერლინერ ტაგებლატ"-იც კი თვლის, რომ ის ულტიმატიური ფორმა, რომლითაც მოითხოვა მისი წინადადების მიღება, სრულიად მიუღებელია. გაზეთის აზრით შეუძლებელია გერმანიის დელეგაციის ლონდონში დარჩენა, თუ სასიცოცხლო საკითხებიც კი ვერ გადაიჭრება ულტიმატუმებ[illegible].

მატეოტის ქვალს მიაგნეს

მატეოტის პიჯაკი

ბერლინი. 15 აგვისტო. რომის მიდამოებში ჭაში იპოვეს ფაშისტ ბანდიტების მიერ მოკლული იტალიელი სოციალისტის დეპუტატ მატეოტის პიჯაკი, რომელიც ნაკუწ-ნაკუწად არის ქცეული ხანჯლით.

„როტე-ფანე"-ს დახურვა

ბერლინი. 15 აგვისტო. გერმანიის მთავრობის განკარგულებით დახურეს გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე-ფანე" („წითელი დროშა").

ინგლისის ბატონობა ირყევა

ჯარებს გზავნიან ეგვიპტეში

ბერლინი. 15 აგვისტო. ეგვიპტეში დაწყებული მღელვარების გამო, ინგლისის მთავრობის განკარგულებით, ჯარების ერთი ახალი ბატალიონი გაიგზავნა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რკინისგზელთა საერთაშორისო კონგრესი.

მოსკოვი, 15 აგვისტო. გზათა სახ. კომისარი მიწვეულია რკინის გზელთა საერთაშორისო კავშირის მორიგ სესიაზე 8 ოქტომბერს.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის დახმარება.

მოსკოვი, 15 აგვისტო. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა 250.000 მანეთი მიწათ მოქმედების საზოგადოებებს, რომლებმაც მიწათ-მოწყობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ვერ მოახერხეს მორიგი გადასახადების შეტანა. კრედიტი მთლიანად გაიგზავნა გვალვიან ადგილებში.

უმაღლეს სასწავლებელთა შე[illegible]

მოსკოვი, 15 აგვისტო. საბჭოთა კავშირის მთავრობამ დაადგინა შეეტანოს ცვლილებანი უმაღლეს სასწავლებელთა ქსელში, რომელიც დამტკიცებული იქნა 1923 წელს, რის გამოც ბევრი უმაღლესი სასწავლებლები გაერთიანდნენ, ხოლო ზოგიერთებში დაიხურა სხვადასხვა ფაკულტეტები. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლები სრულიად დაიხურა. დახურულ უმაღლეს სასწავლებელთა მსმენელები გადარიცხული იქნებიან სხვა სასწავლებლებში არჩეულ სპეციალობის მიხედვით.

მიწები მთიულეთის ებრაელებისათვის.

მოსკოვი, 15 აგვისტო. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა მიუზომოს მიწები მთიულეთის ებრაელებს, რომლებიც დღემდის სარგებლობდნენ იჯარის უფლებით.

მანუფაქტურის გაიაფება.

მოსკოვი. 15 აგვისტო. წარმოების გაფართოების და ზედდართულ ხარჯების შემცირების გამო აბრეშუმის ტრესტმა დასწია საქონლის ფასები 15—38 პროცენტით. ტამბოვის მატყლის ტრესტმა დასწია ფასები—8 პროც. სელის სამმართველომ დასწია ფასები სელის ქსოვილებზე 10 პროც.

კრედიტები „ცენტრო-კავშირს".

მოსკოვი, 15 აგვისტო. ინგლისის კამპანიამ „ენტელმენტ-ტრესტ კომპანიმ" მისცა ცენტროკავშირს ავანსად 100.000 გირვ. სტერლინგი [illegible] და მატყლის გასატანად. რძის პროდუქტების გასატანად ცენტროკავშირმა მიიღო სესხი ძალიან ხელსაყრელ პირობებში. გაიხსნა კრედიტები ლლოიდსა და სხვა ბანკებში ბეწვეულობის გასატანად.

უკრაინა

ნავსნობა.

ოდესა, 15 აგვისტო. შავი ზღვის ყველა ნავთსადგურებში სწარმოებს სარემონტო აღმდგენელი მუშაობა. ფეოდოსიის ნავთსადგურით წელიწადში გატანილი იქნება 30 მილიონი ფუთი ტვირთი.

ფსკერის გამაღრმავებელი სამუშაოები

ოდესა. 15 აგვისტო, ხერსონში დღეებში დამთავრდა დნეპრის ფსკერის გამაღრმავებელი მუშაობა 60 ვერსის მანძილზე. მდინარის ფარვატერი დაყვანილია 20 ფუტამდე, რაც საშუალებას მისცემს ყველა დიდ გემებს დაიტვირთონ ხერსონის ნავსადგურში.

სამელიორაციო გეგმა

ხარკოვი. 15 აგვისტო, უკრაინის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ათავებს ვილნის არხის გაყვანას 36 ვერსის მანძილზე, რომ მორწყავს 16,000 დესეტინა მიწას. მიღებულია ზომები ოდესის და ეკატერინოსლავის გუბერნიებში გათხარონ 36 სარწყავი ჭა. დონის და ეკატერინოსლავის გუბერნიებში მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატი აწყობს 20 სარწყავ ბაზას.

გლეხთა სესხი

ხარკოვი. 15 აგვისტო. უკრაინის ფინანსთა სახ. კომისარიატთან გაიმართა თათბირი გლეხთა სესხის ტირაჟის გატარების შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ გლეხთა სესხის უდიდესი ნაწილი განაღდებულია უკრაინაში. უკრაინამ განაღდა 90 პროცენტზე მეტი. სულ უკრაინაში გავრცელებულია 5 ნახ. მილიონი მანეთის ობლიგაციები.

პარტიული ცხოვრება

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა

საერთაშორისო ბავშვთა კვირეული, ახალგაზრდობის დღე და ბავშვთა კვირეული

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომმა და რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცკამ დაადგინეს ჩაატარონ საბჭოთა კავშირში ბავშვთა საერთაშორისო კვირეული 31 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე. ამგვარად, ბავშვთა კვირეული გადაებმება საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს (7 სექტემბერი) და მჭიდროთ იქნება მასთან დაკავშირებული.

როგორც საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე, ისე საერთაშორისო ბავშვთა კვირეული ჩატარებული იქნებიან მილიტარიზმთან ბრძოლის, პროლეტარულ ორგანიზაციების განმტკიცების და მასების დაპყრობის ლოზუნგის ქვეშ. ახალგაზრდობის დღე და ბავშვთა კვირეული უნდა იქნან გამოყენებული იმ მიზნით, რათა ფართოთ იქნას დაყენებული ინტერნაციონალური აღზრდა და გაღრმავებულ იქნას მშრომელთა ყველა თაობის საერთო ინტერესების შეგნება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირში გარდა ამ საერთო ლოზუნგებისა, ცკამ წამოაყენა კიდევ შემდეგი 4 ლოზუნგი, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის პირველხარისხოვან ამოცანებთან:

1) საბჭოთა კავშირის პროლეტარული ბავშვები—ძმებია მთელი მსოფლიოს პროლეტარულ ბავშვების.

2) საბჭოთა კავშირის პიონერები გააფართოვებენ ფრონტს სოფელში, განამტკიცებენ ქალაქის და სოფლის კავშირს.

3) პროლეტარების ბავშვები—პიონერების რიგებში.

4) საბჭოთა კავშირის ბავშვებო, დაეხმარეთ უპატრონო ბავშვებს.

როგორ იქნება ჩატარებული ბავშვთა კვირეული

რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცკამ წინადადება მისცა ადგილებს გულმოდგინეთ ემზადონ ბავშვთა კვირეულისათვის. ადგილებს დაევალათ:

1) მოიწვიონ პიონერებს შორის მომუშავეთა და წინამძღოლთა სარაიონო, სამაზრო კრებები, რომლებზედაც გაკეთებული უნდა იქნას საინსტრუქტორო მოხსენებები.

2) ჩაატარონ კამპანია რუსეთის ახალგ. ლენინელთა კომკავშირის და რუსეთის კომპარტიის წევრების გასაცნობად კომუნისტურ მოძრაობასთან და ამ მიზნით საკავშირო და პარტიულ დღეს დასმული იქნას დღის წესრიგში პიონერთა შორის მომუშავეთა მოხსენებები.

3) ფართოთ ჩაატარონ ასეთივე კამპანია უპარტიოთა შორის და ამ მიზნით მუშათა საერთო კრებების დღის წესრიგში დასმული იქნას პიონერების და მათ ხელმძღვანელთა მოხსენებები და ეს მოხსენებები დაკავშირებული იქნას პრაქტიკულ ღონისძიებებთან, პიონერების გამოსვლებთან კლუბებში (მაზრებში—წარმოდგენებთან კლუბებში, მუშათა ბავშვების ბაღებში, სოფლებში—ყრილობებზე, სათემო კონფერენციებზე) და სხვ.

4) ჩაატარონ ბეჭდვითი აგიტაცია და პროპაგანდა გაზეთებში, ჟურნალებში, გამოუშვან ფურცლები, მოაწყონ ბავშვთა მოძრაობის გამოფენები და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ცაკის მე-II სესია

კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა წლის აგვისტოს 8-ს დადგინა ამა წლის სექტემბრის 1-თვის მოწვეულ იქნეს ქ. ტფილისში

ამიერ-კავკასიის ცაკის მე-II სესია

დამტკიცებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმის ანგარიში—მომხსენებელია ამიერ-კ. ც. აღმ. კ. თავმჯდომარე.
2. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ბიუჯეტი—მომხსენებელია ამხ. მუსაბეკოვი.
3. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობა—მომხსენებელია ამხ. ქ. ჩხენკელი.
4. ამიერ-კავკასიის საძოვარი ადგილები—მომხსენებელია ამხ. კასიანი.
5. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კონსტიტუციის შეთანხმება სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციასთან—მომხსენებელია ამხ. მ. ორახელაშვილი.
6. დებულება ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმ. კომიტეტის შესახებ—მომხსენებელია ამხ. ა. შავერდოვი.
7. დებულება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ—მომხს. ამხ. ა. შავერდოვი.
8. ზოგადი დებულება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატების შესახებ—მომხს. ამხ. ა. შავერდოვი.
9. დებულებანი ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატებისა: ა. ფინანსთა, ბ. შინაგაჭრობისა, გ. შრომისა, დ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების კავშირის: ა. გარეშე საქმეთა, ბ. საგარეო ვაჭრობისა და გ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოებისა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში—მომხს. ამხ. მუსაბეკოვი.
10. ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმ. კომ. მდივნის არჩევნები.
11. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივნის მაგიერ ა. შავერდოვი.

მეთა კვირეული ჩატარებული შემდეგნაირად:

კვირეულის დასაწყისი 31 აგ- ტო უნდა აღინიშნოს პიონერების ო კრებებით რაიონებში (მაზ- ში, სამაზრო ქალაქებში და დიდ ლებში), მიზიდული უნდა იქნან ები და მოზრდილთა მასები, უნ- გაიმართოს თამაში, გამოსვლები საუბრები საერთაშორისო ბავშვთა რეულის მნიშვნელობის შესახებ.

შემდეგ 2—3 დღის განმავლო- ი სწარმოებს პროპაგანდა თემის ეობის ქვეშ მყოფ სოფლებში, ოდებიან ძველი რაზმები, იქმნე- ახლები, პოპულიარული ხდება რაობა სოფელში.

რაზმების ის ნაწილი, რომელსაც ქვს საშუალება დაუკავშირდეს ტს, აწარმოებს მუშაობას საბავ- ო სახლებში, ეზოებში, მუშათა ებში, საბავშვო ბიბლიოთეკებ- და სხვ. ყველა ბავშვების ქალაქ- დაბრუნების შემდეგ გაიხსნება ფხულო მუშაობის შედეგების გა- ფენა.

ანარჩენ 3—4 დღის განმავლობა- იმართება პიონერების გამოსვლები ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშების წინაშე, ბავშვთა მასიური დღესასწაულები, კონფერენციები სკოლაში მოსწავლეთა, საბავშვო სახლების, უპატრონო და ქუჩების და ეზოების ბავშვთა მონაწილეობით.

4) კვირეულის უკანასკნელ დღეს, 6 სექტემბერს იმართება ახალგაზრდა პიონერების საერთო აღლუმი, მასიური გამოსვლები, ბავშვთა მიტინგი, სწარმოებს ახალი რაზმების დამტკიცება, ფიცის მიღება და გადასვლა შენობებში „სამივე თაობის" (რუსეთის კომპარტიის, რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის და ახალგაზრდა პიონერების) საერთო საზეიმო სხდომის გასამართავად. საღამო იმართება პიონერების ძალებით. უკან ბრუნდებიან ანთებული ჩირაღდნებით.

7 სექტემბერს საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს პიონერები მონაწილეობას იღებენ ახალგ. კომკავშირელების დემონსტრაციებსა და სალომოებში, სწარმოებს პიონერების გადაყვანა ახალგაზრდათა კომკავშირში.

ახალგაზრდათა კავშირი ძონძირ-ისულის თემში

(სენაკის მაზრა)

გაზრდათა კავშირი დღემდე ორგანიზებული არც შეიძლებოდა დაარსებულიყო. ახალგაზრდო- ო იყო აქ იმდენად მომზადებუ- , რომ ემუშავნა ორგანიზაციუ- დ.

ლეს კი მშრომელ ახალგაზრდობის მისწრაფება ორგანიზაციულად შეკავშირებისაკენ მიღწეულია.

უკვე შემდგარია ახალგაზრდათა წრე. წრეში ვერ მოიპოვება იმდენად მომზადებული ამხანაგი, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს წრის მუშაობას. საჭიროა პარტიულმა ორგანოებმა მიაქციონ ამას ყურადღება.

ა.

ქ. რკინის გზის სტამბა-ლითოგრაფიის კომუჯრედში

ახსენებულ კომუჯრედში ირი- პარტიის 40 წევრი, მათ შო- 10 კაცი პარტიის ძველი წევ- ია, 2 მიმაგრებული ამხანაგია და კი პარტიაში ახლათ მიღებული. ები ჩვეულებრივ თვეში 4-ჯერ რთება. აქვე არის ახალგაზრდათა უჯრედი, რომლის წევრთა რი- უდრის 32. კომუჯრედის და კო- შირის უჯრედის წევრთა შორის ოკიდებულება საუკეთესოა. მუშა- მსახურეებს გამოწერილი — 13 შემდეგი გაზეთები: კომუნისტი ო, მუშა—12 ც., ზარია—5 ც., რიის პრავდა—51 ც. და ახალგაზრდა კომკავშირის ორგანოები, როგორც ქართული, ისე რუსული 24 ცალი. აქვე გამოდის კედლის გაზეთი თვეში ორჯერ ქართულ და რუსულ ენაზე; არსებობს აგრეთვე პოლიტწრე ქართული და რუსული. პირველში მეცადინეობს 31 კაცი მეორეში 34 კ. გამოცდები უკვე ჩაიბარეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომელსაც ადგილი აქვს კომუჯრედის სხდომებზე: ამხანაგებს აკლიათ გამბედაობა და კამათში აქტიურ მონაწილეობას ვერ ღებულობენ. საჭიროა ბიურომ მიიღოს ზომები ამის წინააღმდეგ.

ვ. ინაური.

კოოპერაცია

„წარმოკავშირის" საბჭოს სესია

მორიგი საკითხების შესახებ გამოტანილი დადგენილებანი

ნინის სახელობის კულტურული ფონდი.

„წარმოკავშირი" სავსებით იზია- ამხ. ლენინის სახელობის კოოპე- ული ფონდის შექმნის იდეას, ელიც, ერთი მხრივ, მუშათა და თა მასებში შეიტანს ფართო ერატიულ შეგნებას და მეორე ხელს შეუწყობს უპატრონო ვების მდგომარეობის გაუმჯობე- . ამიტომ საბჭო ავალებს გამგეო- მიიღოს ზომები ამ ფონდის გა- ერებლად საჭირო საშუალებე- გამოძებნით მოკავშირე ძირითად ნიზაციებთან ერთად, მაგალი- მომგებიანი პროცენტების გა- ცხვით გასასაღებელ საქონელზე, თო ბრუნვაზე პროცენტის და- ებით და სხვა, და ასე შეიტანოს საქმეში წვლილი ამ ფონდის სისათვის.

ერატიულ დამზღვევ კავშირში შესვლა.

„წარმოკავშირის" საბჭომ დაადგი- ვიდეს წევრად სრ. რუსეთის დამზღვევ კავშირში, რომლის- „წარმოკავშირს" დაკისრებული წარმოოს კოოპერატივთა ქო- და საქონლის დაზღვევა საქარ- ფარგლებში.

ების დაწესება მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთათვის.

ომ გამოიტანა დადგენილება ვის სასოფლო-სამეურნეო ინს- ში გაგზავნოს ორი სტიპენ- . ამავე დროს საბჭო გამოს- ურვილს ცალკე ორგანიზა- დაარსონ სტიპენდიები.

დამოკიდებულება „სელსკოსოიუზ"-თან.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მიერ გამომუშავებული დებულება, რომლის თანახმად „წარმოკავშირი" ხდება „სელსკოსოიუზ"-ში მოკავშირედ.

„წარმოკავშირის" შტატი

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი შტატი, რომლის თანახმად „წარმოკავშირ"-ში 129 მოსამსახურის ნაცვლად რჩება 99 მოსამსახურე. ამ უკანასკნელ რიცხვში შედიან როგორც მოსკოვის წარმომადგენლობის, ისე ადგილობრივი განყოფილებების მოსამსახურეებიც.

„წარმოკავშირის" წარმომადგენელი საერთაშორისო კოოპერაციის ყრილობაზე

საბჭომ საერთაშორისო კოოპერაციის ყრილობაზე საქ. სასოფ. სამეურ. კოოპერაციის წარმომადგენლად აირჩია ამხ. წივწივაძე.

სასოფლო-სამეურნეო პერიოდული გამოცემლობა.

საბჭომ სასურველად სცნო გაზეთი „მიწის მუშა" გახდეს „წარმოკავშირის" და „ცეკავშირის" ორგანოდ, რის შესახებაც გამგეობას დაავალა მოელაპარაკოს „ცეკავშირს" და რედაქციას. გაზეთში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის საკითხს, რომ გაზეთმა მიიღოს კოოპერატიული ორგანოს ხასიათი.

გარდა ამისა საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს სპეც. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატ. ჟურნალი, სადაც მოთავსებული იქნება პოპულიარული წერილები.

მოსავლის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

(ა. კ. საექსპორტო კომისიის ცნობებით)

თუ მოსავლის მდგომარეობის დასახასიათებლად ვიხელმძღვანელებთ 5 ბალიანი სისტემით, რომლის თანახმად ნიშანი 5 აღნიშნავს მოსავლის კარგს მდგომარეობას, 4—საშუალოზე მაღალს, 3—საშუალოს, 2—საშუალოზე დაბალს და 1—ცუდს, მოსავლის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში ა. წ. 1 აგვისტოსათვის შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

	1 აგვისტ. ცნ.	15 ივლისისათ.	განსხვავება
საქართველოში	2,5	2,6	0,1
აზერბეიჯანში	2,6	2,5	0,1
სომხეთში	2,6	2,4	0,2

ამ ციფრებით მოსავალი ა.-კავკასიაში უახლოვდება საშუალო დონეს.

15 ივლისის ცნობებთან შედარებით მოსავალს საშუალოდ ეტყობა ბალის ერთი მეათედით გაუმჯობესება.

ცალკე პურეულის მიხედვით მდგომარეობა ასეთია:

	ხორბალი,		ქერი,		სიმინდი
	შემოდგ.	გაზაფ.	შემოდგ.	გაზაფ.	
საქართ.	2,7	1,7	1,4	1,9	2,9
აზერბეიჯ.	2,6	2,5	3,0	2,3	—
სომხეთი	1,7	2,5	2,3	2,3	—
ა.-კავ.	2,5	2,2	2,9	2,2	2,9

ასეთია ნათესების საერთო სურათი 1 აგვისტოსათვის მთელს ამიერ-კავკასიაში.

მოსავალი საქართველოში

საქართველოში, სიმინდის შემდეგ არსებითი მნიშვნელობა აქვს ხორბლის მოსავალს.

ხორბლით დათესილი ყანების რაოდენობა საქართველოში უდრის ყველა კულტურულ მცენარეებით დაკავებულ მოედნის 25 პროც. ანუ 152 ათას დესეტინას.

ხორბლეულის მოსავლის მდგომარეობას საქართველოში გამოხატავს ნიშანი 1,7 ე. ი. ხორბლის მოსავლის რაოდენობა საშუალოზე ნაკლებ დონესაც (ნიშან 2-საც) ვერ აღწევს. იგი საშუალო მოსავლის დონეზე 15 პროცენტით ნაკლებია, თუ ნორმად 100 პროცენტს მივიღებთ. ქერი, რომელსაც უჭირავს 66 ათასი დესეტინა, იძლევა საშუალოზე ნაკლებს მოსავალს—1,9 ნიშანს. შემოდგომის ქერი, რომლის თესვაც საქართველოში ნაკლებათ მისდევენ (სულ ქერის შემოდგომის ნათესებს უჭირავს 11 ათასი დესეტინა) უახლოვდება მოსავლის ცუდ დონეს (ნიშანი 1,4).

მხოლოდ სიმინდი, რომელსაც უკავია მთელი სასოფ. სამ. კულტურის 60 პროცენტი, ანუ 377 ათასი დესეტინა, მოგვცემს საშუალო მოსავალს.

მოსავალი საქართველოში მაზრების მიხედვით

საქართველოს მაზრების მიხედვით მოსავლის მდგომარეობა ასეთია: ახალქალაქის მაზრაში მოსავალი უახლოვდება საშუალო დონეს (ნიშანი—2,6) ახალციხის მაზრაში მოსავალს უჩანს საშუალოზე მეტი პირი (3,4) გორის და თბილისის მაზრებში მოსავალი უახლოვდება საშუალო დონეს (ნიშანი 2,6), ზუგდიდის მაზრაში მოსავალის მდგომარეობას გამოხატავს—ნიშანი 2,7 (საშუალოს უახლოვდება) ლეჩხუმის მაზრაში მოსავალი საშუალო დონეზეა (ნიშ. 3,0). საშუალო მოსავალია აგრეთვე ზუგდიდის მაზრაში (ნიშ. 3,0) შორაპნის მაზრაში (2,9); ქუთაისის მაზრაში მოსავლის დონე უახლოვდება საშუალოს (2,7), რაჭის მაზრაში მოსავალი საშუალოზე მეტია (3,4).

ძვირფასი კულტურები.

აზერბეიჯანში ბამბის მოსავალი საშუალოზე მაღალია და ზოგან კარგიც. სომხეთში ბამბის მდგომარეობას გამოხატავს ნიშ.—3,1.

თამბაქოს მოსავალი აზერბეიჯანსა და სომხეთში საშუალოზე მეტია, საქართველოში კი საშუალო დონეზეა (ნიშ. 3,0).

ვენახები საქართველოსა და აზერბეიჯანში საშუალოზე მაღალია, სომხეთში საშუალოა.

ხილის ბაღები საშუალო მდგომარეობაშია საქართველოში, ხოლო საშუალოზე უკეთეს პირობებში აზერბეიჯანსა და სომხეთში.

ჩაის მოსავალი 15 ივლისის ცნობით, საშუალოა. ბრინჯის მდგომარეობა აზერბეიჯანში საშუალოზე მაღალია ხოლო სომხეთში კი საშუალო.

მუშათა კლუბის გახსნა ავჭალაში

14 აგვისტო—დღე, როდესაც მოხდა ზემოავჭალის მუშათა ახალი კლუბის გახსნა, იშვიათ მოგონებად დარჩება ზემოავჭალის სადგურის საამშენებლო მუშაობაში ჩაბმულ გლეხისა და მუშებისათვის. ზემოავჭალის მუშათა კომიტეტის და მასთან არსებული კულტკომისიის დაუღალავი და თავგამოდებული მუშაობით აიგო ახალი შენობა, სადაც კლუბს გარდა, მოთავსებულია ყველა საკულტურო დაწესებულებანი.

კლუბის შენობა და მოწყობილობა.

ყველა ის ოთახები, სადაც მოთავსებულნი არიან საკულტურო დაწესებულებანი, მშვენივრად და კოხტად არიან მორთულნი სათანადო სურათებით და აუცილებელი ავეჯით, ხოლო სააუდიტორიო დარბაზი თავის მორთულობით და სცენით ქალაქის მრავალ კლუბს სჯობია.

ჭერთან კედლებს ირგვლივ შემოვლებული აქვს არშია, მუშური ლოზუნგებით ქართულ და რუსულ ენებზე. ელექტრონის ლიუსტრები, რომელნიც ჩამწკრივებული არიან ჭერზე, აძლევენ დარბაზს უხვს სინათლეს დარბაზი მოკლებული არ არის მძლავრ ვენტილიატორებსაც, რომელნიც აწმენდენ და აგრილებენ ჰაერს. კედლებს ამშვენებს საერთაშორისო, საქართველოს და რუსეთის კომუნისტურ მოძრაობის ბელადთა სურათები—ქართული წარწერებით. სცენის ფარდა გამოხატავს მშვენივრად შესრულებულ ემბლემას მუშა და გლეხის დამმობილებისას. სცენა პატარაა, მაგრამ იძლევა სრულ ტექნიკურ შესაძლებლობის სერიოზული და რთული წარმოდგენების გასამართავად.

კლუბის შენობას აქვს მშვენიერი ფასადი, ლამაზი სტილით და გემოვნებით შესრულებული. ყურადღებას იპყრობს ახლად გაშენებული ლამაზი ბაღი, რომლის ქიცლიანდები აფერადებულია ათასგვარი ყვავილებით. საერთოდ ავჭალის საამშენებლო უბანი, რომელიც ერთი წლის წინად ხრიოკ უდაბნოს და ტურამგელების სათარეშო მოედანს წარმოადგენდა, დღეს პატარა კულტურულ მუშათა ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს თავის შენობებით და ბაღებით.

საღამოს 6 საათზე აგუგუნდა საყვირი, რომელმაც ამცნო მუშებს მუშაობის შეჩერება. საღამოს 7 საათზე კლუბის დიდი დარბაზი უკვე გაჭედილი იყო მუშათა და გლეხთა მრავალრიცხოვანი ჯარით.

ზეიმის გახსნა.

7 საათზე იხდება ფარდა. საზეიმო სხდომას ხსნის მუშკომის მდივანი ამხ. პლატონ შინშინაშვილი. იგი თავის მოკლე სიტყვაში ეხება დღის მნიშვნელობას და ამავე დროს მოკლე მიმოხილვას უკეთებს ერთი წლის კულტურულ მუშაობას ზემო-ავჭალის ელსადგურის ამშენებლობაში ჩაბმულ მუშებს და გლეხებს შორის. ყველაზე მეტად, ამბობს ამხ. შინშინაშვილი, აქ—ზემო-ავჭალაში ტარდება ის დიდი მცნება მუშათა და გლეხთა დაკავშირების, რომელიც წამოაყენა დიდმა ბელადმა ამხ. ლენინმა. ეს კლუბი ერთ უდიდეს როლს ითამაშებს გლეხების პროლეტარულ გათვითცნობიერების საქმეში და მათ შორის მუშური შეგნების შეტანით ახლო მდებარე სოფლების გლეხობას სამუდმოდ დაუკავშირებს ქალაქის მოწინავე პროლეტარიატს.

ამხ. შინშინაშვილის წინადადებით, არჩეულ იქნა პრეზიდიუმი და დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი.

სიტყვები და მისალმებანი.

საამშენებლო კომიტეტის სახელით კლუბის გახსნას ესალმება ამხ. იოსამაშვილი, რომელიც სხვათა შორის ამბობს: საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოცანას ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად შეადგენს მისცეს ჩვენს მშრომელ მოსახლეობას კულტურული აღზრდა. შეგნება და კულტურულ მოთხოვნილებათა გაცნობა აუცილებელი პირობაა ნაყოფიერი შრომის, რადგან კულტურა ბუნების ძალებს უმორჩილებს ადამიანს და მტკვარსა და არაგვს უღელში აბამს ადამიანის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სწორედ ასეთი ცოდნა უნდა შეიტანოს ჩვენს გლეხობაში ახალმა კლუბმა.

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს სამუშაოთა უფროსი ინჟ. ჭიჭინაძე, რომელსაც აუდიტორია ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა.

ეს დიდი ზეიმი,—ამბობს ამხ. ჭიჭინაძე, მხოლოდ მცირე საფეხურია იმ უდიდეს დღესასწაულზე გადასასვლელად, რომელიც მოელის მთელ ქართველ მშრომელ მოსახლეობას ამ დიდი სადგურის დასრულების შემდეგ. ტექნიკით ჩამორჩენილს ჩვენს ღარიბს ქვეყანაში ვერ იწარმოებდა ასეთი გრანდიოზული აღმშენებლობა, რომ არ ყოფილიყო გლეხების და მუშების მხრივ თავდადებული შრომა, საქმის სიყვარული და შეგნება. ეს კულტურული დაწესებულება კიდევ უფრო აამაღლებს ამ შეგნებას და თვით ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის დამთავრების გამო მოწყობილი ზეიმი გარდამავალი საფეხური იქნება იმ უფრო გრანდიოზულ დღესასწაულისათვის, რომელსაც ქართველი მშრომელი ხალხის გაერთიანებული შრომა უმზადებს საქართველოს. ეს არის მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია. მისასალმებელ სიტყვას ამბობენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენელნი: ავჭალის ქვერაიკომის ამხ. ყვირულიანი, პროფსაბჭოს და მშენებელთა კავშირის ოპანეზოვი, ადგილობრივი მუშათა სახელით ამხ. გოზალოვი და უმიკაშვილი, მუშ. მთლიან. კოოპერაციის სახელით მელიქოვი, კულტკომისიის სახელით ამხ. ჭიჭინაძე, ამხ. სარქისოვი, ამხ. აზრაილ, ადგილობრივ კომუჯრედის მდივანი ამხ. არუტიუნოვი, სამუშაო უბნის უფროსი ამხ. მიქელაძე და სხვა.

საქ. კომ. პარტ. და თბილისის საბჭოს სახელით კლუბის საზეიმო გახსნას მიესალმა ამხ. ლადო სუხიშვილი: ჩვენ მიერ კულტურის ფრონტზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი მიმართულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ და როგორც ასეთი წარმოადგენს ჩვენთვის საზეიმო საქმეს. ზემოავჭალის ჰიდრო-ელსადგური ამ კლუბის დახმარებით სინათლესთან ერთად შეიტანს განათლებას და კულტურას, რომელიც გააათკეცებს იმ შრომის უნარსა და საქმისადმი საყვარელს, რომელსაც იჩენენ ადგილობრივი მომუშავე მუშა-გლეხები.

აღსანიშნავია ავჭალაში სამუშაოდ მოწვეულ უცხოელ ინჟინერთა და ტექნიკოსთა წარმომადგენლის ლამპარტესის სიტყვა. მან გამოსთქვა თავის აღტაცება იმ ერთსულოვანი და თავდადებული მუშაობის გამო, რომელსაც ეწევიან ზემოავჭალის მუშები. ამ გარემოებას იგი ხსნის მათი მაღალ მოქალაქობრივი შეგნებით. იგი უსურვებს მუშებს დაწყებულ საქმის ნაყოფიერ დაბოლოებას.

შემდეგ დიდი მხიარულებით ჩატარდა რამდენიმე ბავშვის კომუნისტური ნათლობა. დასასრულ მუშებს აჩვენეს კინო-სურათი.

საბჭოთა სასამართლო

ქ. თელიას და მისი თანამშრომლების საქმე

(14 აგვისტოს საღამოს სხდომა)

გრძელდება მოწმეთა დაკითხვა.

მოწმე **სამხარაძე**,—ქარხნის მექანიკოსმა აჩვენა სასამართლოს, რომ ქარხნის გამგე თელია, ჩვეულებრივათ ხარჯების გაწევის საკითხებში დიდ სიფრთხილეს იჩენდა. იყო მხოლოთ ერთი შემთხვევა, როდესაც თელიას მიერ გაწეული ხარჯი, მოწმის აზრით, გადამეტებულათ უნდა ჩათვლილიყო: წარსული წლის მარტში თელიამ დაიქირავა დროებითი მუშაობისათვის 10 მუშა წინასწარი გარიგებით. მათ ერგებოდათ 5 მილ. მან. ერთხანს მუშაობა შეწყდა, შემდეგ გაგრძელდა და მუშაობის დამთავრებისას მუშებმა მიიღეს 30 მილ. მანეთი. თუმცა ასეთი დიდი განსხვავება ამ ორ ციფრს შორის აიხსნებოდა ფულის კურსის ცვალებადობით, მაგრამ მუშები ისე ზანტათ და აუჩქარებლათ მუშაობდენ, რომ მას, მოწმეს, მუშებისათვის მიცემული ჯამაგირი დაუმსახურებლათ მიაჩნდა.

შემდეგ სასამართლომ მოისმინა ქარხნის მუშების,—**ჩიგოგიძის, ავაკოვის, ზახაროვის** და **ტორონჯაძის** ჩვენება. მათ შორის ზოგიერთმა განაცხადეს, რომ მასალა ქარხნიდან არავის არ გაუტანია სამუშაო დროის და კანონიერ საბუთების გარეშე. მოწმე ტორონჯაძემ გაიხსენა ერთი შემთხვევა, როდესაც მან მიიღო ქარხანაში შემოსული ხე-ტყე (ტივები) დავთარში აღურიცხავათ. მოწმეს აზრით ამ ფაქტით აიხსნება ის გარემოება, რომ ქარხნის გამოკვლევისას საბუთების მიხედვით ქარხანას აკლდა მიღებული ხე-ტყის ერთი ნაწილი, ხოლო მასალის უშუალო დათვლამ აღმოაჩინა ფაქტიურად ჩაუწერელი იმავე რაოდენობის ზედმეტი მასალა. მოწმე ზახაროვმა, ავაკოვმა და ჩიგოგიძემ განაცხადეს, რომ მათ მიღებული აქვთ ტანისამოსი და ნივთები, რომლებიც მათ ერგებოდათ კოლექტიურ ხელშეკრულების ძალით. ამის შესახებ მათ [illegible] გამგისათვის. მოწმეებმა გაკვირვება გამოსთქვეს, რომ კონტროლიორ საბჭოს მიერ შედგენილ აქტში მათთვის დარიგებული ნივთები აღნუსხულია როგორც დანაკლისი. ქარხნის გამგისა და მათი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მუშები კმაყოფილებას გამოსთქვამენ.

ამის შემდეგ დაკითხულ მოწმეთა ჩვენება სასამართლომ საკმარისათ სცნო საქმის ნათელსაყოფათ და დამცველთა თხოვნის წინააღმდეგ მოწმეთა სია დახურულათ გამოაცხადა, რის შემდეგ დაიწყო მხარეების კამათი.

ბრალმდებლის სიტყვა.

ბრალმდებელმა **დიდებულიძემ** თავის საბრალმდებლო სიტყვაში, შეადარა რა ბრალდების სასამართლოს ძიების შედეგები, საბრალმდებლო დასკვნა მის მთავარ ნაწილში გამოაცხადა „დაუსაბუთებელ ხუხულათ" და უარყო იგი იმ სახით, როგორც ეს დასკვნა შედგენილია. კერძოთ თელიას წინააღმდეგ ბრალმდებელი შესაძლებლათ სთვლის მხოლოდ ს. ს. კ—ის 108 მუხ. მე-2 ნაწილის (ახალ რედაქციით) წამოყენებას (ეს მუხლი გულისხმობს დისციპლინარულ სასჯელს). ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ბრალდებულ თელიას განაჩენის გამოტანისას სასამართლომ უნდა მოიგონოს თელიას თანაშემწე და ქარხნის კონტროლიორი მეიერი, როგორც პირველის პასუხისმგებლობის მონაწილე. ჯეირანოვის და არუთინოვის წინააღმდეგ გაუგებრობით აღძრული ბრალდება სრულიად უნდა მოიხსნას, ხოლო ბრალდებულ ოსეფიანც ადგილკომის ღირსების დამცირებისათვის მიესაჯოს 112 მუხ. მე-ნაწილში გათვალისწინებული სასჯელი.

დამცველების სიტყვა.

ოსეფიანცის დამცველი ქართველიშვილი თავისი მარწმუნებლისადმი წაყენებულ ბრალდებას უპირდაპირებს იმ ფაქტს, რომ ბრალდებულ 6-ჯერ იყო არჩეული ადგილკომის მდივნის თანამდებობაზე. შესახებ ჯილდოსი, რომელსაც თითქოს იღებდა ბრალდებული სამუშაოზე მუშების დაყენების საფასურათ, დამცველის აზრით სასამართლოს ძიებას არ აღმოუჩენია არავითარი ამის დამადასტურებელი ფაქტი. ოსეფიანცის „ქეიფს" მუშებთან მოწმეთა ჩვენების მიხედვით, ქონდა ჩვეულებრივ ამხანაგურ სადილ-ვახშმობის ხასიათი. დამცველი მოითხოვს ბრალდებულ ოსეფიანცის გამართლებას.

დამცველ **ჩაჩიბაიას** არ დასჭირებია თავის მარწმუნებელ ჯეირანოვისა და არუთინოვის გამამართლებელ საბუთების აღნიშვნა, ვინაიდან მათი უდანაშაულობა უკვე ცნობილ იქნა ბრალმდებლის მიერ.

დამცველი **ღვამიჩავა** აღნიშნავს ყველა ფაქტებს თელიას შესახებ ნდობას, რომლითაც ის აღჭურვილი იყო ერთის მხრით ტრესტისაგან, როგორც სატყეო-სახერხო საქმის კარგი მცოდნე და, მეორეს მხრით—ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან, როგორც პატიოსანი და გულმოდგინე ხელმძღვანელი, მოგებას, რომელიც მოუტანა მან ტრესტს, მასზე დაკისრებულ მოვალეობათა სირთულეს და სიმრავლის (რამდენიმე ქარხნის ხელმძღვანელობა გარეშე მისი პირდაპირი მოვალეობისა) და აბათილებს წამოყენებულ ბრალდების ყველა ნაწილებს.

დასასრულ დამცველი მოითხოვს თელიას სრულ განთავისუფლებას.

15 აგვისტოს დილის სხდომა

მხარეების კამათი დასრულებულია. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა თვითეულ ბრალდებულს, რომლებიც შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე მათი განთავისუფლების შესახებ.

განაჩენი:

შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში და 2 საათის თათბირის შემდეგ აცხადებს განაჩენს: თელიას მიმართ სასამართლომ დამტკიცებულათ სცნო ბრალდება მისი მოვალეობისადმი უგულველყოფა და უყურადღებობა, რის გამო მიუსაჯა მას **თავისუფლების აღკვეთა 1 წლით** გამასწორებელ სახლში, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ის, რომ თელია სასამართლოს პასუხისგებაში არასდროს არ ყოფილა, რომ იგი პატიოსანი ადამიანია და რომ მისი თავისუფლათ ყოფნა არ წარმოადგენს არავითარ საშიშროებას საზოგადოებისათვის, შეუცვალა სასჯელი **პირობითად**. დანარჩენი ბრალდებულნი გამართლებული არიან.

განაჩენის წაკითხვის შემდეგ სასამართლო აცხადებს დამატებითი დადგენილებას მოქალაქე მეიერის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ყალბი ჩვენებებისათვის.

სტუდენტთა მიღება უმაღლეს სასწავლებლებში

მაზრობრივ განაწილება ადგილებისა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში 1924—25 სასწავლო წელ.

№№	მაზრები	რამდენი ადგილი მიეცა.								
		უნივერსიტეტში						პოლიტ. ინსტ.		
		სულ	პედაგოგი	სოც. ეკონომ.	აგრონომ.	პოლიტექნიკ.	სამკურნალო ფაკ.	სულ	საინჟინრო	სას. სამეურ.
1 2	ქ. თბილისი და თბილისის მაზრა	280	90	70	44	40	36	105	55	50
3	გორის მაზრა	25	7	8	5	2	3	6	3	3
4	დუშეთის მაზრა	5	1	1	1	1	1	2	1	1
5	ბორჩალოს მაზრა	2	—	—	1	—	1	2	1	1
6	ახალციხის მაზრა	5	1	1	1	1	1	6	3	3
7	ახალქალაქის მაზრა	3	—	1	1	—	1	7	3	4
8	თელავის მაზრა	15	3	4	3	2	3	7	3	4
9	სიღნაღის მაზრა	12	3	2	3	2	2	5	2	3
10	ქუთაისის მაზრა	265	108	52	56	22	27	10	5	5
11	შორაპნის მაზრა	80	40	15	15	6	4	8	4	4
12	რაჭის მაზრა.	15	6	4	3	1	1	4	2	2
13	ლეჩხუმის მაზრა	15	5	4	2	2	2	4	2	2
14	ოზურგეთის მაზრა	110	60	15	20	6	9	8	3	5
15	ზუგდიდის მაზრა	20	10	5	3	1	1	5	2	3
16	ფოთი	10	2	2	3	2	1	8	5	3
17	აჭარისტანი	20	7	2	3	6	2	10	5	5
18	აფხაზეთი	10	3	1	4	1	1	16	8	8
19	ახალ სენაკის მაზრა	75	45	10	12	5	3	8	3	5
20	სამხრეთ-ოსეთი	3	1	1	—	—	1	9	4	5
		970	392	198	180	100	100	230	114	116

ქრონიკა

— **კოოპერატიული საყასბოები.** ა.-კ. მომხმარებელ სატრანსპორტო საზოგადოებამ გადასწყვიტა ლენინის სახელობის მუშათა რაიონში, დიდუბეში და სადგურის რკინისგზის გადაღმა გახსნას საყასბოები მუშებისათვის სალი ხორცის დაკლებულ ფასების მისაწოდებლათ.

— **საქონლის ჭირი.** მიწათ-მოქმედების კომისარიატის ცნობით, ამ ჟამად მთელ საქართველოში საქონლის ჭირით დაავადებულია დაახლოებით 7043 საქონელი.

— **დახმარება მშრომელ ქალებს.** მშრომელთა ქალთა დამხმარე კომისიამ გადასწყვიტა დაარსოს უმუშევარ ქალთა სამკერვალო და საქსოვი არტელები.

— **წითელი სასადილოები რკინისგზებზე.** ა.-კ. მომხმარებელ სატრანსპორტო საზოგადოებამ გადასწყვიტა ყველა რკინისგზის სადგურებთან გახსნას წითელი სასადილოები.

— **მუშა-მოსამსახურეთა** გადაყვანა ერთი დაწესებულებიდან მეორეში, როცა ხდება თვით დაწესებულების განკარგულებით, შრომის ბირჟიდან არავითარი ნებართვა არ არის საჭირო.

— **შრომის კომისარიატი** ამჟამად იმუშავებს თავის და ადგილობრივ ორგანოების მოქმედების ახალ დებულებას.

— **მუშათა საკითხები.** შრ. სახ. კომისარიატის გამომცემლობამ გამოსცა ს. გოდაბრელიძის წიგნაკი: „მუშათა საკითხები მენშევიკების ბატონობის დროს და ეხლა".

— **შრომის ბირჟის რეორგანიზაცია.** შრომის ბირჟის რეორგანიზაციის მოსახდენად და უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხების მოსაგვარებლად შესდგა განსაკუთრებული კომისია.

— **ზედამხედველობა წითელ სასადილოებზე.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა წინადადება მისცა სამაზრო გლეხკომებს, რათა ზედმიწევნით ადევნონ თვალყური წითელ სასადილოების მოქმედებას დანიშნულების სწორათ ასასრულებლად.

უმუშევრები სასოფლო-სამეურნეო მუშაობაზე. ა. | კ. შრომის კომისარიატმა დაადგინა შრომის ბირჟებზე აღრიცხული უმუშევრები სურვილისამებრ გაგზავნონ სასოფლო სამეურნეო სამუშაოებზე.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** ა. | კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოჰყო კომისია ამხ. დოლიძის თავმჯდომარეობით უმუშევრობასთან საბრძოლველად სათანადო ზომების გამოსანახათ და ფონდის შესაქმნელად.

— **აგრო-დახმარების გამოკვლევა.** მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საქართველოში აგრო-დახმარების საქმის გამოსაკვლევათ შეადგინა კომისია მიწ. მოქ. კომისარიატის, ცეკავშირის, წარმოკავშირის და მიწატყის კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით.

— **რკ. გზის შრომის ბირჟა.** 14 აგვისტოს რკ. გზის ბირჟამ აღრიცხვაზე აიყვანა 5 უმუშევარი, ხოლო სამუშაოზე გაგზავნა—3.

— **წყალსადენი.** აღმასკომის წყალსადენის საანგარიშო ნაწილიდან და კანცელარიიდან მოქალაქეთ ცნობების მიღება შეუძლიათ დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

— **წითელი სასადილო.** ამ დღეებში რესტორან „ხიმერიონში" გაიხსნება წითელი სასადილო სამხედრო კოოპერატივების [illegible] მუშების [illegible].

— **წიგნები სასოფლო-მეურნეობის შესახებ.** ცეკავშირმა შეადგინა კომისია, რომელსაც დაევალა სასოფლო-მეურნეობის შესახებ პოპულარულ წიგნების გამოცემა.

— **პენსიები რევოლუციონერთა ოჯახის წევრთ.** ა.-კ. ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა პენსიები დამსახურებულ რევოლუციონერთა ოჯახის წევრთა დაენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ მათ არა ჰყავთ მარჩენალი.

— **ლტოლვილთა რაოდენობა.** ივლისის განმავლობაში მ. გ. მილიციის მიერ აღრიცხული იქნა 365 ლტოლვილი.

— **საბჭოთა საქართველოს ქვეშევრდომობა.** ივლისის განმავლობაში მ. გ. მილიციამ შინ. საქ. სახ. კომისარიატს გადასცა 6 უცხოელის განცხადება საბჭოთა საქართველოს ქვეშევრდომობის მიღების შესახებ.

— **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.** მ.-გ. მილიციამ ივლისის განმავლობაში შინ. ს. ს. კომისარიატის და ქ. აღმასკომის დადგენილების დარღვევისათვის პასუხისგებაში მისცა 1940 მოქალაქე.

— **საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის.** საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის დაპატიმრებული იქნა ივლისის განმავლობაში 171 პირი.

— **ქალაქში შემოსულ და გასულთა რაოდენობა.** ივლისის განმავლობაში ტფილისში შემოვიდა 4271 სული, აქედან 2582 მამაკაცი და 1689 დედაკაცი, ხოლო ქალაქიდან გავიდა 6924 სული.

შემთხვევები

— შეპყრობა. 13 აგვისტოს ნაშუადღევის 2 საათზე შეიპყრეს ვალი ოღლი ასლან ოღლი, რომელსაც ბრალდება მოქ. პაპატაკ ავაზოვის ბინის გაქურდვა.

— ქურდი საყვარელი. 13 აგვისტოს შუადღის 12 საათზე ბაბის ქუჩაზე გაქურდული იქნა აზრამ სერიდინის ბინა მისივე საყვარელ ბარბალეს მიერ, რომლის გვარი დაზარალებულმა არ იცის. წაღებულია საოჯახო ნივთები.

— მუშების ფულის გატაცება, 13 აგვისტოს მოქ. სოლომონიანის განცხადების თანახმად მის ამხანაგს ივანე სერდინს მიუღია 203 მანეთი მუშებისათვის დასარიგებლათ და მიმალულა.

— ქურდი ქალი. 13 აგვისტოს შეიპყრეს ვალენტინა ივანეს ასული ილინა, რომელსაც ბრალდება მარიამ ზოლოტარევისათვის ორი ოქროს ბეჭდის მოპარვა.

— ქურდობა. 12 აგვისტოს გაქურდეს არსენალის ყაზარმებში მცხოვრებ გიორგი სეხნიაშვილის ბინა, წაღებულია 250 მ. ნივთები, ეჭვით შეიპყრეს ალექსი კრიუმბერგი.

— 13 აგვისტოს ღამის 3 საათზე პანასევიჩის ქ. № 27 გაქურდეს მოქ. ეფრემ სუკიასოვის ბინა, წაიღეს 70 მ. ნივთები. მიღებული ზომებით შეპყრობილი იქნა ნაქურდალი ნივთებით ვინმე აშოტ აივაზოვი.

— შეპყრობა. 12 აგვისტოს ელისაბედის ქ. შეიპყრეს ბაღდასაროვი, სირბილაძე, იოსელიანი და ქუკოვი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ნაქურდალი ტყავეულობა 100 მ. ღირებული.

ხელოვნება

— **პროლეტკულტის თეატრი.** პროლეტკულტის თეატრის დრამატიული სტუდია მიემგზავრება აგარაკზე, სადაც აწარმოებს მუშაობას მომავალი სეზონისათვის.

— **„აჯანყება გურიაში".** რეჟისორი ალ. წუწუნავა მომავალ სეზონისათვის წითელ თეატრში წარმოსადგენათ ამზადებს რევოლუციონურ პიესას: „აჯანყება გურიაში".

კინო

კინო „ეთერი"

„ბატკო. კნიშის ბანდა"

საბჭოთა რევოლიუციონური კინემატოგრაფია თანდათანობით ფეხზე დგება. თუ პირველ ხანებში, როცა ჩვენი კინო-საქმე პირველ გაუბედავ ნაბიჯებს სდგამდა, ოცნებასაც ვერ ვბედავდით იმაზე, რომ ჩვენ შევსძლებდით მთელი შინაური კინო-ბაზრის დაპყრობას, ეხლა ასეთ პესიმიზმს ყოველგვარი ნიადაგი გამოეცალა. რასაკვირველია, საბჭოთა კინო-მრეწველობის პროდუქცია თავისი შინაარსით ვერ დააკმაყოფილებს „ნეპმანებს" და მასთან ახლო მდგომ საზოგადოებას, მაგრამ მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, მშრომელი მასისათვის, საბჭოთა კინო-სურათები არა მარტო „სასიამოვნო" სანაზავია, არამედ მასის აღზრდის, მასში რევოლიუციონური ენტუზიაზმისა და სულისკვეთების გაძლიერებისა და განმტკიცების მძლავრ იარაღს წარმოადგენენ.

სამოქალაქო ომის, მშრომელი მასების—მუშებისა და გლეხების ბრძოლა კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ, ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის, გმირული ბრძოლა შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, აუარებელ მასალას იძლევა რევოლიუციონური კინო-სურათების შესაქმნელად.

და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მშრომელი მასების ამ გმირულ ბრძოლის მასალებს ვერც ერთი პოეტი და რომანისტი. რა რიგ ნიჭიერი არ იყოს ის, ვერ გამოიყენებს ისე, როგორც კინო.

და შემთხვევითი როდია, რომ ასეთი სურათები, როგორიც არის „წითელი ეშმაკუნები", „ბრძოლა ულტიმატუმისათვის" და სხვები, მთელი კვირეების განმავლობაში არ შორდებიან ეკრანს,

ასეთი სურათების რიცხვს ეკუთვნის „ბატკო კნიშის ბანდა"-ც, რომელსაც კინო „ეთერში" უჩვენებენ.

სიუჟეტი ცოტა ანეკდოტურია, მაგრამ სურათში ნაჩვენები ტიპები რეალურია. სურათი გვიხატავს სამოქალაქო ომის სფეროში მყოფ ქალაქს. წითლები სცვლიან თეთრებს და პირიქით. წითლების ქალაქში ყოფნის დროს იქ დარჩენილი თეთრები—მღვდლები, კულაკები, ვაჭრები, მოუთმენლად მოელიან „მთლიანისა და განუყოფელის" აღმდგენელის—მოხალისეთა არმიის მოსვლას. განსაკუთრებული განყოფილების უფროსს სტალნოის აზრათ მოსდის ამ ფარული შავრაზმელებისა და ჯაშუშების დასაჭერად ერთი იდეა, რომლის განხორციელებაზე თანხმობას აცხადებს რ. კ. პ. სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმიც.

წითელი არმია „სტრატეგიული" მოსაზრებებით სტოვებს ქალაქს. ქალაქს იკავებს, „ბატკო" კნიში თავისი ბანდით. იწყება კომუნისტების დაპატიმრება. ყველა კულაკებს სპეკულიანტებსა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულ პირებს ანთავისუფლებენ. კნიში აცხადებს „კეთილ-საიმედო პირების" რეგისტრაციას და მის „კანცელარია" ივსება საბჭოთა ხელისუფლების მტრებით, რომლებიც კნიშის „მოხელეებს" უშლიან მთელს თავის ბიოგრაფიას, სიძულვილს ბოლშევიკებისადმი. ირკვევა, თუ ვინ არის მოხალისეების აგენტი, ჯაშუში. კნიში მეორე ქალაქში დაბანაკებულ თეთრების სარდლობას ეპატიჟება „ბლინებზე" ბოლშევიკების წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედების გეგმის გამოსამუშავებლად. თეთრების მთელი შტაბი კნიშს ესტუმრა. ქეიფობენ კეთილ-საიმედო და თეთრი გენერლები, სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე სვამენ და თან ბოლშევიკებსა და „ჟიდებს" ემუქრებიან, სანამ ყველას „სამოგონკით" გალეშილებს არ დაეძინებათ...

გათავდა კომედია...

ბატკო კნიში იშორებს პარიკს...

ამხ. სტალნოი აპატიმრებს შავების მთელს ბანდას.

ციხიდან ანთავისუფლებენ დაპატიმრებულ კომუნისტებს...

ქალაქი გაიწმინდა თეთრგვარდიელებისაგან.

ასეთია სურათის შინაარსი.

სურათზე არ შეიძლება ითქვას, რომ ის შედევრია; ზოგი ადგილები სუსტია, მაგრამ ზოგიერთი სცენები ცოცხლად არის შედგენილი.

როლებს ასრულებენ კინემატოგრაფიის სახელმწიფო ტექნიკუმის სტუდენტები. მათ არა აქვთ საკმაო მომზადება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი (მაგ. სკრიპკას დამკვრელი კნიშის „ორკესტრში", სტალნოი, იგივე კნიში და „სოვრაბოტნიკი" თეთრგვარდიელების ჯაშუში) ნამდვილ ტიპებს იძლევიან.

საერთოდ შესრულება დამაკმაყოფილებელია.

„ბატკო კნიშის ბანდა" მორიგი გამარჯვებაა საბჭოთა კინემატოგრაფიის ფრონტზე.

N.

მუშათა ცხოვრება

ასეთი მოპყრობა გლეხებისადმი დაუშვებელია.

შაბათს, 9 აგვისტოს, შემთხვევით მომიხდა საპიროის ქუჩით გავლა, სადაც ბარიათინსკის ქუჩის კუთხეში ეხლა სწარმოებს ქუჩის მოკირწყვლა. იქვე მუშებს ელაპარაკებოდა ორი სოფლის გლეხი და თავიანთ გასაჭირს უამბობდენ მათ, თუ როგორ აწამეს ისინი მოიჯარადრეებმა სეროპ კამორიანცმა და აბრამ ახლანოვმა.

ჩემდა უნებურად ყური მოვკარი მათ ლაპარაკს და შევეკითხე, თუ რაში მდგომარეობს მათი გაჭირვება. აი, სიტყვა-სიტყვით რა მიამბეს გლეხებმა.

— „ჩვენა ვართ **სოფ. დიღმიდან ვასო გრიგორის ძე ქობულაშვილი და ვასო მიხეილის ძე ქობულაშვილი.** ორივე ვმუშაობთ ჩვენი ხარ-კამეჩ-ურემით ქალაქის მოიჯარადრე სეროპ კამორიანცთან და აბრამ ასლანოვთან. ურმებით ვეზიდებით ქუჩის მოსაკირწყლად მასალას; ექვსი კვირაა, რაც მოიჯარადრეები გვპირდებიან გასტუმრებას, მაგრამ დღემდის ანგარიში ვერ მივიღეთ; გვერგება 55 მან., 5 მანეთი მივიღეთ; საქონელი სიმშილით გვეხოცება, ჩვენც უფულოდ დავრბივართ და ცოლშვილიც მშივრები გვყავს; რაც გვერგება, იმაზე მეტი დავხარჯეთ სირბილში. დღეს შაბათია, სოფელში გვინდა წასვლა, მაგრამ ანგარიშს, არ გვაძლევს და ჩვენც ჩვენს ბედს შევყურებთო“ და სხვა.

ურმები და კამეჩები სადღაც გაეშვათ და სახრეებით ხელში წავიყვანე ჯერ მე-3 რაიონის შრომის ინსპექტორის კამერაში რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ იქ, ჩვენდა საუბედუროდ, კამერა დაკეტილი დაგვიხვდა.

ბოლოს, როგორც იყო, მივმართეთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს, სადაც გულდასმით მოუსმინეს ორივე ქობულაშვილებს, მიიღეს სათანადო დარიგება, რომლის შემდეგ მეც საქმის გამო წავედი ჩემს სამუშაოზე.

როცა თბილისთან ასე ახლო მცხოვრებ მშრომელ ხალხს მოიჯარადრეები ასე ყვლეფავენ, რაღა უნდა იყოს უფრო მოშორებით?

რატომ ამას არ აქცევს ყურადღებას ქალაღმასკომი და ლაგამს არ ამოსდებს სეროპ კამორიანცს და აბრამ ასლანოვს.

საჭიროა მათი ჭკუის სწავლება, დასჯა და პასუხისგებაშიც მიცემა.

მუშკორი **უშ. ჯაში.**

ქ. ხონის დამზღვევი კასას
(წერილი პროვინციიდან).

ქ. ხონის დამზღვევი კასა დაარსდა და შეუდგა მუშაობას 1922 წლიდან, მაგრამ პირველ ხანებში რასაკვირველია, როგორც ახლად დაარსებულის, მისი მოქმედება არ იყო დამაკმაყოფილებელი. იყო ისეთი დროც, რომ მუშა-მოსამსახურემ არ იცოდა, ვინ იყო მისი ექიმი (და არც ჰყავდა) კასის მითითებით (ბარათის გაგზავნით). თითქმის სუყველა ექიმი ვალდებული იყო ენახა ავადმყოფი, მაგრამ ეს არ სრულდებოდა სათანადოდ. ყველა ექიმები ასე გიპასუხებდათ. „მე არ ვარ ვალდებული, რომ წამოგყვეო“ და ამ „პაიკში“ კი საქმე ფერხდებოდა. აშკარად სჩანდა, რომ ისინი კასის მიერ მიცემული ფულით არ იყვნენ კმაყოფილი და თხოულობდენ „ზედმეტ ფულს“. ასეთ მდგომარეობით მუშა-მოსამსახურეები თავის დროზე ვერ ღებულობდენ დახმარებას და არც იცოდენ დანამდვილებით, ვინ იყო მათი ექიმი. ამის გამო იყო შემთხვევები, რომ მუშა-მოსამსახურე ექიმს ფულს აძლევდა. ერთი სიტყვით საექიმო დახმარება არ იყო სათანადოდ მოგვარებული, მაგრამ თანდათან ამ ყოველგვარ გაუგებრობას და უარყოფით მხარეებს კასის თანამშრომლების და განსაკუთრებით კი ამხ. გ. ხობუას ენერგიული მუშაობით ბოლო მოეღო.

მუშა-მოსამსახურეებს დაენიშნა ორი ექიმი: მ. ბახტაძე და ვლ. სანაძე, რომელნიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რაც გამოიხატება თავის დროზე და ხშირად დამზღვევი კასიდან ბარათის უქონლობითაც ავადმყოფების ნახვაში. განსაკუთრებით დაზღვეულები და ისე მშრომელი გლეხობა მადლიერი არიან ექ. ვლ. სანაძის გულკეთილობით და საქმის დაუზარლობით.

დამზღვევი კასის თანამშრომლები თავიანთ მოვალეობას რომ პირნათლად ასრულებენ, ეს იქიდან სჩანს, რომ მუშა-მოსამსახურეების ყოველგვარ მიმართვაზე, ისინი თავის დროზე და შესაფერისად აძლევენ პასუხს და ყოველგვარ დახმარებას, რითაც სწევენ კასის პრესტიჟს ხალხის თვალში.

ი. ფ.

მოუმატეთ ვაგონი ორთაჭალაში
(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ)

ორთაჭალაში, რომლის მცხოვრებთა 95 პროც. მუშები წარმოადგენენ, მხოლოდ ერთი მოტორიანი ვაგონი დადის. მუშა-ხალხს მთელი საათობით უხდება ცდა ამ ვაგონისათვის, სადაც ხალხი თევზებივით აწყვება თავზე უადგილობის გამო. საჭიროა ამ ხაზს მოემატოს ვაგონები.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

რამოდენიმე რჩევა მუშკოოპს

შეფერხებულ პურის ოპერაციების გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილი იქნება შემდეგი გეგმა:

1) გამგეობამ უნდა ეცადოს აგზავნოს ერთნაირი ღირსების ფქვილი და არა შერეული, 2) პური უნდა ცხვებოდეს სხვადასხვა სახის, 3) პური უნდა იყიდებოდეს ლიად, რომ მყიდველმა შესძლოს მისი წინასწარი დანახვა, 4) პურის გაყიდვა უნდა სწარმოებდეს დილის 6-დან საღამოს 9 საათამდე ყოველ დღე, უქმეებშიც. ამ გეგმის განხორციელებით ჩვენ უფრო გაგვიადვილდება პურის კერძო ვაჭრობის დაპყრობა.

საჭიროა ვიცოდეთ მუშკოოპის გამგეობის აზრი ამ საკითხის შესახებ.

მუშკორი უზისელი.

14 საათის მუშაობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს არსად
(კოჯორის რაიონის შრ. ინსპ. საყურადღებოდ).

კოჯორში დაბლა შარაგზაზე არსებულ კოოპერატივ „მეურნეში“ მუშაობს დუქნის გამგის ადგილზე ერთი ამხანაგი დილის 7-დან საღამოს 9-მდე მარტოდ.

დაუშვებელია ამდენი საათი მუშაობა. საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები აღნიშნულ ამხანაგის (დაზღვეული და კავშირის წევრია) ინტერესების დასაცავად.

მუშკორი გოგინკა.

ქალაქის ალმასკომის საყურადღებოდ.

მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება ლენინის უბანი არ ვიცით ვის მოვალეობას შეადგენს მისი გასუფთავება. სანიტარულმა ზედამხედველობამ ერთხელ მაინც უნდა დაათვალიეროს ეზოები, რომ ყველაფერი სასურველ დონეზე იყვეს.

ვცხოვრობთ მაგისტრალის ქუჩაზედ სახლი № 20-ში. სახლის პატრონი გახლავთ ნიკო სტაჯაძე. ამავე დროს ის მეეზოვეთაც მსახურობს ეზოში. საპირფარეშოები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, მათი გასაწმენდი ფული კი რამოდენიმე თვე არის მდგმურებს გადახდილი აქვთ. სახლის პატრონი ყურს არ იბერტყავს და ჩვენ კი გვიხდება დეპოს საპირფარეშოში სიარული.

საშინელი სული სდგას ეზოში, ასე რომ ერთ წუთსაც ვერ გასძლებს ადამიანი. ნეტავ მე-11-უბნის სანიტარულ კომისიას თუ აწუხებს სინდისი!

ის ვალდებულია ერთხელ მაინც დაიაროს მუშათა უბანი, გააკეთოს ის, რაც გასაკეთებელი არის. მით უმეტესათ ეს უბანი არის მუშებისთვის ლენინის უბანი. ამით ვამაყობთ, რომ ჩვენ, სახელოსნოს მუშები ვცხოვრობთ დიდებული ბელადის უბანში. და ეს უბანი კი უპატრონოდ არის მიგდებული სანიტარული მხრით.

ასეთ სახლის პატრონს უნდა აუწიოთ ყური.

მთავარ სახელოსნოს მუშა ნიკო ფოფხაძე.

როგორ ვისვენებთ წალვერში

ივლისის ბოლო რიცხვებში მოვხვდი სადგურ წალვერში და შევეკითხე იმათ, ვინც წალვერში დასასვენებლად ჰყავს გაგზავნილი დამზღვევ კასას. ყველა ამხანაგები კმაყოფილებას გამოსთქვამენ ყოველმხრივ. ჰაერი მეტად მარგებელია. თვით ბუნებისაგან მორთული, თვალუწვდენელი ნაძვნარი ფილტვებს უჯანსაღებს და დაღლილ-დაქანცულ მუშას გულს ულვიძებს. აგერ რკინის წყალი, საუცხოვო კარგი სისხლნაკლებებისათვის მარგებელი. უწინ ესენი ყველაფერი იყო მდიდრებისათვის და ვინ ნახავდა წინანდელ დროში რკინისგზელებს აქ. ბორჯომიდან ბაკურიანამდის მხოლოდ კაპიტალისტების საფუფუნებელი ადგილი იყო. დღეს კი ვხედავთ ნათლად, რა შექმნა ისტორიამ. დღეს პროლეტარიატი სარგებლობს ყველა ამით.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას!

მუშკორი დანტკურელი.

რკინისგზელებში
სანიტარულ მუზეუმისათვის

3 აგვისტოს დ. სურამში მოეწყო საღამო სურამში არსებულ ციებ-ცხელებიან რკინისგზელთა სანიტარულ მუზეუმის სასარგებლოდ. ეს განზრახული საქმე მალე უნდა დაგვირგვინდეს—ასე გრძნობენ ამას მუშა-რკინისგზელები. ამიტომ ყველა მათგანი მხურვალე მონაწილეობას და დახმარებას უწევდა საღამოს. საღამო მეტად მრავალფეროვანი შინაარსისა იყო და ბევრი ხალხიც მიიზიდა. საღამოდან შემოსავალი ფრიად საგრძნობი იყო.

საჭიროა ასეთი საქველმოქმედო მიზნებისათვის საღამო ხშირად გაიმართოს.

ინფ. ა—ძე.

ჩვენი მდგომარეობა აუტანელია.
(რკ. გზ. საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

სად. სოლანლუღის საოსტატო წარმოადგენს ერთ უდაბნოს, სადაც მუშა-მოსამსახურენი მოკლებულნი არიან ყოველივე სურსათ-სანოვაგეს.

სურსათ-სანოვაგისთვის გვიხდება წასვლა თბილისში, რაც იწვევს დიდ წვალებას და ხარჯებსაც.

ამავე დროს ზემოხსენებული საოსტატო ითვლება შრომის ხელფასის მხრით 90 პროც. ზოლში.

სამჯერ მოთხოვნილი იყო საერთო კრების მიერ, რომ გადავსულიყავით 100 პროც. ზოლში, მაგრამ ვერაფერს ვეღირსეთ.

ამისათვის მთელი საოსტატოს და სადგურის მუშა-მოსამსახურენი მოვითხოვთ, გვიშუამდგომლოს პროფესიონალურმა კავშირმა, ვისთანაც ჯერ არს, რათა ჩვენც გადაყვანილ ვიქნეთ მე-100 პროც. ზოლში. თუ რამ დაბრკოლებაა, იმ შემთხვევაში იყოს გამოგზავნილი კომისია, რომელიც დარწმუნდება ჩვენი ეკონომიურად დაცემულ ცხოვრებით.

მე-5—საოსტატოს და სად. სოლანლუღის მუშა-მოსამსახურეების მინდობილობით.

შ. მშვიდობაძე.

ალმასკომის პასუხი.
მუშკორ უბნელს.

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტი“-ს № 104 ნომერში სათაურით: „უწყლო[illegible] ვიხრჩობით“, გაცნობებთ, რომ თანახმად ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ქალაქის უბნებისთვის უფასო ონკანების დადგმა შეჩერებულია; სამაგიეროთ ამავე დადგენილებით ყველას და განსაკუთრებით კი გარეშე რაიონების მუშათა უბნებს დიდი შეღავათი ეძლევათ თავის სახლებში ახალ წყლის გაყვანაზე. ამრიგათ, თუ წერილში მოხსენებულ უბანს წყალი არა აქვს, საჭიროა მათ აღძრან შუამდგომლობა, დაასახელონ ქუჩა, სახლი, თავისი ვინაობა, ითხოვონ, რომ მათ სურთ სახლში გაიყვანონ წყალი და ამის შემდეგ თუ წყალსადენი არ მიიღებს შესაფერის ზომას, მაშინ ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მათი საყვედურები საფუძვლიანად.

ინფ. ვარდოსანიძე.

უწყლობა სოფ. პრიუტში (თბილისის მაზრა)

სოფ. პრიუტი მდებარეობს მანგლისის გზა ტკეცილის პირას. პრიუტი შესდგება 250 კომლისაგან. აღნიშნული სოფელი უწყლობის გამო უკიდურეს მდგომარეობაშია. აგერ-ეგერ არის მოთხრილი ჭები სადაც ამოდის სრულებით უვარგისი მლაშე წყალი, რომელიც არა თუ ადამიანისთვის, საქონლისთვისაც კი მავნებელია. მაგრამ ეს ერთი კვირაა რაც ეს ჭებიც ამოშრა, გარდა ზაფხულისა ზამთარშიაც იცის აქაურ ჭებმა ამოშრობა დრო გამოშვებით. მხოლოდ ორი თუ სამი ჭები დარჩა ამოუშრობელი და იმათშიც ცოტა წყალი ამოდის. პატრონებმა აღნიშნულ ჭებს თავი დაუჭედეს ფიცრებით, რომ სხვას არ ამოეღო წყალი ჭიდან. მაგრამ უწყლობა მოუთმენელია და ხალხმაც ახადა თავი ჭას და იღებდა წყალს. გაიმართა აურზაური და დავიდარაბა მეპატრონეთა და შეჭირვებულ ხალხს შორის. ასეთ უსიამოვნობას თითქმის ყოველ დღე აქვს ადგილი. პრიუტზე 12 ვერსის დაშორებით არის საუკეთესო გამოულეველი წყარო, ამ წყაროს შეუძლია დააკმაყოფილოს 500 კომლზე მეტი. აუცილებელი საჭირო არის პრიუტელებმა მთავრობის დახმარებით დაიწყონ წყალსადენის გამოყვანა. საჭირო თანხის გაღებას მარტო სოფელი ვერ შესძლებს, მაგრამ ტეხნიკურ ძალას თუ მიანდობს მთავრობა პრიუტელები მზადაა ამ მნიშვნელოვან საქმის დაწყებისთვის.

იაკობ ღლონტი.

პროვინციის ქრონიკა

— **გლეხკომების მუშაობა.** სიღნაღის სამაზრო გლეხკომმა ხელშეკრულება დასდო საქ. წითელ ჯვართან 20,000 ფუთი კაკალის მიწოდების შესახებ.

— **წყალსადენი წაღვერში.** ახლო ხანში დამთავრდება წაღვერში წყალსადენის გაყვანა. ჯერჯერობით წყალი უკვე ეძლევა მუშათა დასასვენებელ სახლებს და საკურორტო სამმართველოს.

— **ახალი თეატრი.** სამტრედიაში შეუდგენ ქალაქის თეატრის აგებას. საძირკველის ჩაყრა დაწყებულია. თეატრი იქნება სრული და დაახლოებით დაიტევს 800 კაცს.

— **კართოფილის ფქვილის ქარხანა.** ახალციხის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა ადგილობრივ გახსნას კართოფილის ფქვილის დასამზადებელი ქარხანა.

— **უღარიბესი გლეხები კოოპერატივის წევრებათ.** ახალციხის სამაზრო გლეხკომმა წინადადება მისცა ყველა სოფლის გლეხკომებს თავიანთი თანხით ჩასწერონ კოოპერატივების წევრებათ უღარიბესი გლეხები.

— **საგლეხო სესხი.** ახალქალაქის სამაზრო ალმასკომმა დაუგზავნა ცირკულიარული მოწერილობები რაიალმასკომებს, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საგლეხო სესხის გავრცელების საქმეში.

— **საავტომობილო მიმოსვლა.** უკვე დამთავრდა მდ. ნატანებზე ხიდის აგება და ახლო ხანში დაიწყება საავტომობილო მიმოსვლა ოზურგეთ ჩოხატაურს შორის.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „კომუნისტი“-ს № 170-ში მოთავსებულია „ეგრისი“-ს წერილი ჩემს წინააღმდეგ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვაშაკიძემ მოსვლისთანავე ქარხანას ყველაფერში წუნი დასდო. მართლაც, ქარხანაში არაფერი მიმდინარეობდა თავის გზაზე; ამის დამტკიცება შეიძლება ქარხნის საწარმოო წიგნებიდან და [illegible] მუშების დაკითხვით, რომლებმაც იციან რა მდგომარეობა იყო ჩემს მოსვლამდი.

შემდეგ „ეგრისი“ ამბობს ვითომც მე ცუდათ ვეპყრობოდი მუშებს. ეს სრულებით არ შეეფერება სიმართლეს და გვიკვირს, რათ დასჭირდა მას ასეთი ტყუილის თქმა.

კორესპონდენტი განაგრძობს: მუშები სამი თვე და ოთხი თვე ერთხელ ღებულობდენ ჯამაგირსო. ესეც სიცრუეა. ჩემს მოსვლის შემდეგ მუშები ყოველთვის ღებულობდნენ ხელფასს თვეში ერთხელ. ამას დაამტკიცებს საბუღალტერო წიგნები.

შემდეგ ბრალდებაში კი აქვს ნათქვამი, რომ ვითომც მე ქარხნის მოსამსახურე ქალი საკუთარ მოსამსახურეთ გამეხადა. ეს ბრალდება სრულებით არ არის სიმართლესთან ახლო. ეს ქალი არასოდეს არ ყოფილა ტრესტის მიერ დაქირავებული არამედ ჰყავდა კერძოდ დაქირავებული ქარხანაში არსებულ კომუნას და ემსახურებოდა მას. ქარხნის დახურვის შემდეგ, როცა მოხდა მუშების ლიკვიდაცია და მით კომუნაც იქნა გაუქმებული, ხსენებულმა მოსამსახურე ქალმა, რომელსაც არავინ პატრონი არა ჰყავს, ითხოვა დროებით დარჩენილიყო ქარხნის ბინაში. ეს თხოვნა მუშა ქალისა დაკმაყოფილებულ იქნა და ის დღესაც იქ სცხოვრობს და ინახავს თავს.

უკანასკნელ ბრალდებად კი მიუყენებს ოცდა ათი წლიანი სტაჟის მქონე მუშის განდევნას. სწორედ ეს ბრალდება გასაოცარი არის. ეს მუშა დღესაც იმყოფება თავის ადგილზე და ასრულებს თავის მოვალეობას.

რაც შეეხება ჩემს სიმთვრალეს და ქეიფს, ესეც მოგონილია. რასაკვირველია მე, როგორც ცოცხალ ადამიანს, არ შემიძლია მუდამ ვიჯდე ერთ ადგილას; მართალია, მოვდივარ სამსახურის საქმეებისათვის ქალ. ზუგდიდში და სადილსაც ვჭამ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქეიფში ვატარებდე დროს და ამით ქარხნის საქმეები ზიანდებოდეს. ესეც უნდა ვსთქვა, რომ ვიყავი ერთ ადგილზე დაპატიჟებული, მაგრამ „ეგრისის“ მტკიცება, ვითომც ძლივს გადავრჩენილიყო ცოცხალი, მტკნარი სიცრუეა.

დასასრულს, მე წინააღმდეგი არა ვარ სამედიატორო სასამართლოსი, რომელიც გამოარკვევს, თუ ვინაა მტყუანი და მართალი *).

აბასთუმნის სახლვინტრესტის მე-5-თე ქარხნის გამგე **კონსტ. ვაშაკიძე.**

---

*) ჩვენ ამ წერილთან ერთად მივიღეთ აღნიშნული ქარხნის მუშების კრების ოქმი ვაშაკიძის დასაცავად.

რედ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

ცირკულიარი № 37.

1924 წლის აგვისტოს 5-ს.

მაზრის, ქალაქის და რაიონის ალმასკომებს.

ა|ქ. ს. ს. რ. საკავშირო საბჭომ 1922 წ. სექტემბრის 30-ს თარიღით და 36-№-ით გამოსცა დადგენილება სამრეწველო შენობებისა და მათი დამხმარე დაწესებულებათა საამშენებლო პროექტების დამტკიცების წესის შესახებ. უკანასკნელში გათვალისწინებულია პირობები და წესი წარმოებათა რემონტისა, მათი გადაკეთებისა, ახალი შენობის აგებისა და სხ., რაც უნდა ხდებოდეს ჰიგიენის და უსაფრთხოების ტეხნიკის მოთხოვნილებასთან სრული თანხმობით.

არც ერთი შენობა ან კაპიტალური რემონტი არ შეიძლება დაწყებულ იქნეს, თუ ამის შესახებ არ არის წინდაწინვე მიღებული სათანადო დასკვნა შრომის დაცვის ორგანოებისაგან, აღნიშნული მუშაობის დასრულების შემდეგ, არც ერთი წარმოება და მისი დამხმარე დაწესებულება არ შეიძლება ამუშავებული იქნას, სანამ ამისათვის არ იქნება მიღებული ნებართვა კომისიიდან, რომელშიაც შედიან: შრომის, ტეხნიკური და სანიტარული ინსპექტორები და სათანადო პროფესიონ. კავშირის წარმომადგენლები.

ამასთან ერთად რესპუბლიკის მრავალ ადგილებში, ადგილობრივი ხელისუფლების ზედამხედველობა ორთქლის ქვაბების ირგვლივ არა სდგას სათანადო დონეზე, რასაც შედეგათ მოსდევს უბედური შემთხვევები ადამიანებთან, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ა|წ. აპრილში სამტრედიის ხე-ტყის ქარხანაში, სადაც ორთქლის ქვაბი ამუშავებული იქნა სათანადო ტეხნიკური შემოწმების მოუხდენლად, ქვაბის სისუსტის გამო მოხდა აფეთქება, რამაც ერთი მუშა მოკლა, ხოლო ორი მისი ამხანაგი მძიმედ დასჭრა.

მიაქცევს რა თქვენ ყურადღებას ზემოაღნიშნულზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გავალებთ ზემოაღნიშნული დადგენილებით და აგრეთვე ორთქლის ქვაბების შესახებ 1923 წლის აპრილის 10-ს თარიღით დამტკიცებული წესებით მტკიცეთ იხელმძღვანელოთ და არ დაუშვათ სამოქმედოთ ორთქლის ქვაბები, თუ-კი ისინი სათანადოთ არ არიან შემოწმებული შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების ტეხნიკურ ინსპექციის მიერ. ამას გარდა თქვენ გევალებათ თვალყური ადევნოთ, რათა სისწორით იქნეს შესრულებული წინასწარი სანიტარულ-ტეხნიკურ ზედამხედველობის შესახებ გამოცემული დეკრეტი.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი: ა. მიქაძე.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მაგიერ ა. ჯატიევი.

პროვინციაში

ძირულა (შორაპნის მაზრა)

ძირულა მდებარეობს მთავარ სარკინისგზო ლიანდაგზე, ქ. ზესტაფონიდან აღმოსავლეთით 12 ვერსზე. საუცხოო მთაგორიანი მდებარეობა, მშვენიერი სიო და სუფთა ჰაერი, გამრჯელი და შრომის მოყვარე ხალხი—აი, საზოგადოთ, ზემო-იმერეთის და კერძოთ ძირულის რაიონის დამახასიათებელი თვისებანი. აქ ნიადაგი არ არის ნოყიერი. გლეხს უხდება დიდი შრომის დახარჯვა, რომ მწირ მიწას ნაყოფი გამოაღებინოს და ამან შეაჩვია აქაური მიწის მუშა შრომას, გარჯას. ზოგი ჭირი მარგებელიაო —ნათქვამია. მეურნეობის მთავარი წყარო აქ მევენახეობა-მეღვინეობაა.

წელს დიდი გვალვები იყო. ამან ვაზს არ აწყინა. პირიქით, წელს ღვინის მოსავალი საუკეთესო იქნება. სიმინდსაც ივნისის წვიმების შემდეგ კარგი პირი უჩანს.

როგორც კულტურულ, ისე სამეურნეო დარგში მრავალი რამ კეთდება. სოფლის გლეხკაცობა პირდაპირ ჩაბმულია ამ საქმიანობაში. ის ზედმიწევნით პრაქტიკოსია. დღევანდელ ხელისუფლებას ის ამ საქმიანობისდამიხედვით აფასებს და მისი თანაგრძნობაც ნელ-ნელა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ იხრება.

ძირულის შვიდწლედი წელს პირველად უშვებს კურსდასრულებულ მოწაფეებს. წელს მეცადინეობა წარსულ წლებთან შედარებით უფრო ნაყოფიერი იყო. ხშირად იმართებოდა საბავშვო სალიტერატურო საღამოები-ექსკურსიები. 1 ივლისს მოწაფენი გაემგზავრე ქ. ბათომს. ზღვის ნახვამ დიდი შთაბეჭდილება იქონია მოწაფეებზე. საუცხოოა და ლამაზი ბათომის სანაპიროები. გამოვლით დათვალიერებულ იქნა ჩაქვი, ლერწმის ქარხანა და ჩაის დასამზადებელი ბარაკიც. სასარგებლოა ასეთი ექსკურსიები. მოწაფეთა გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდება ნახული და განცდილი. გამართულ იქნა მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა. საღამოს მშობელთათვის გაიმართა საბავშვო ლიტერატურული საღამო ლექსებით, სიმღერებით და ცეკვით. იმავე დღეს გაიმართა აკაკის „გამზრდელის“ მთავარი გმირის ჰაჯი-უსუფის ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებაში მშობლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ჰაჯი-უსუბი გაამტყუნეს.

საჩუქრად ნაყოფიანი მუშაობისა აქაური გაუქმებული ეკლესია გადაეცა ძირულის შვიდწლედს საჭიროებისათვის.

ძირულაში არის ცეცხლ-გამძლე აგურის დასამზადებელი ქარხანა. ეს ერთად ერთი ქარხანაა არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერ-კავკასიაში, სადაც ასეთი აგური (огнеупорный кирпич) მზადდება. მუშაობა აქ ნორმალურად მიმდინარეობს. მუშების ხელფასი საშუალოა რომ თავის ჯამაგიერებს დროზე ღებულობდენ. ამ ქარხანისათვის სამთომადნო განყოფილებამ გადასდო 40.000 მან. იდგმება ახალი ქურები, უნდა იმატოს აგურის დამზადებამ. ეს გამოწვეულია აგურზე მოთხოვნილების ზრდით. გაფაციცებით სწარმოებს ამ მხრივ მუშაობა ინჟ. მუკარესის ხელმძღვანელობით. 3 თვეში განზრახული ქურები მზად იქნება და ქარხანას მუშებიც ერთი ორად მოემატება.

გასულ წელს პროფ. განათლების მთავარმა სამმართველომ აქ გახსნა საქარხნო-საკერამიკო სკოლა. მცხოვრებლებმა იკისრეს სამეურნეო ხარჯები. შეძენილ იქნა 3 თვალიანი სახლი, ინვენტარი-მოწყობილობა. პროფგანათლების სამმართველომ სკოლის გახსნა დაუკავშირა ქარხანას, ვინაიდან ის მასალა, რომლიდანაც უნდა დამზადდეს საკერამიკო ნივთები, იზოვება ადგილობრივ თიხა-კაჟი. კაოლინი. წელს მეორე კლასი მოემატება ამ სასწავლებელს. ენკენისთვიდან პრ. გ. სამმართველომ უნდა დანიშნოს სპეციალისტი მასწავლებელი კერამიკი. ამის შესახებ რამდენჯერმე მივმართეთ სამმართველოს, მაგრამ იქიდან პასუხს ვერ ვეღირსეთ. ამ სასწავლებლის არსებობა უსპეციალისტოთ აბსურდი იქნება. პ. გ. სამმართველომ ენკენისთვიდან აუცილებლათ უნდა გამოგზავნოს კერამიკი. პირობაც ასეთი იყო. სამეურნეო ხარჯებს კისრულობდა საზოგადოება. მასწავლებლის დანიშვნა სამმართველოს საქმე იყო.

ძირულის ცხოვრებაში სასიამოვნო მოვლენაა რკინის გზის ახალი ხიდის აგება. წარსულმა წყალდიდობამ დაგვანახვა ძველი კონსტრუქციის ხიდების უვარგისობა. შორაპნის ხიდი აღებულ იქნა და იქ ახალი ხიდი უკვე გაიხსნა. იმავე ფორმის იყო ძირულის ხიდი მრავალბოძებიანი დახლართული რკინის ძელებით. ახალი ხიდი იქნება ქვისა და ბეტონის. სამუშაოს ხელმძღვანელობს ინჟ. ჩუმაკოვი. 1925 წ. ხიდზედ მუშაობა სავსებით დამთავრდება.

ძირულის მუშათა კლუბში კულტურული მუშაობა მოიკოჭლებს. ეს არ შეშვენის სამრეწველო რაიონს. ამ მხრივ საყურადღებო იყო ძირულის ქარხნის ადგილკომის მიერ 28 ივნისს გამართული საღამო-სეირნობა. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. წმინდა შემოსავალი 15 თუმნამდე დარჩა. ეს თანხა კლუბის გაფართოებას მოხმარდება.

უკვე ორი წელიწადია, რაც აქ დაარსდა ძირულის ტეხნიკუმის საამშენებლო კომიტეტი. მას განზრახული აქვს ააგოს ორსართულიანი ქვიტკირის შენობა საშუალო სასწავლებლისათვის. გლეხობა და მუშები სიამოვნებით ეგებებიან ამ საქმეს. გლეხობა ხარ-ურმით და ფიზიკური შრომით. მუშები და მოსამსახურენი მატერიალურათ. ყველა ადგილობრივი მუშა მოსამსახურენი ქარხნის მუშები, მასწავლებლობა, რკინის გზელები, ფოსტელები, აფთიაქისა და საექიმო პუნქტის მოსამსახურენი იხდიან თავის ჯამაგირის ერთ პროცენტს სკოლისათვის. მუშაობა დაწყებულია, სამუშაო მასალები სანახევროთ შეძენილია. საჭიროა მთავრობამ ხელი შეუწყოს დაწყებულ საქმეს ნივთიერ ღონისძიებათა გამოსანახავათ.

განათლების მუშაკთა ხუთი წლის კავშირის არსებობის აღსანიშნავად. განათლების მუშაკთა ძირულის ადგილკომმა მოაწყო საზეიმო სხდომა. მასწავლებლობამ სიამოვნებით აღნიშნა საზეიმო დღე, მოიგონა წარსული მუშაობის ნარ-ეკლიანი გზა, აღნიშნა ის ზომები და ღონისძიებანი, რომელსაც მიმართავს ხელისუფლება მესწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და მიიღო სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც მასწავლებლობა აცხადებს, რომ ის საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ერთად იბრძოლებს კულტურულ ფრონტზე.

რუხიშვილი.

კაცხის თემი (შორაპნის მაზრა)

კაცხის თემში დაარსდა საექიმო პუნქტი, რომელიც დიდ შეღავათს აძლევს ღარიბ გლეხობას.

ამას გარდა წელს მოაწყვეს ამავე თემში თეატრი, სადაც ხშირათ იმართება წარმოდგენები. ამ თეატრს შეფობას უწევს ადგილობრივი კოოპერატივი, რომელმაც სრულიად უფასოთ მისცა ფარდა, მოუწყო სცენა და დასაჯდომები. კოოპერატივი კარგათ მუშაობს. მასში გლეხობისათვის საჭირო საქონელი ბლომათ მოიპოვება და ისიც მეტად ხელმისაწვდომ ფასებში. ამ კოოპერატივთან დაარსებულია აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობა.

მ. ბრეგვაძე.

ს. ჭკადუაში (ზუგდიდის მაზრა)

ჭკადუაშის თემში არსებობს 4 წლიანი და 7-დი წლიანი შრომის სკოლა, ზუგდიდის „ეპო“-ს განყოფილება და პარკის საშრობი ფარდული და სხვა. თემში მდებარეობს ყოფ. პრინც მიურატის „სასახლე“, რომელიც გახრებულია მენშევიზმის მეფობის დროს, წაღებულია აუარებელი ქონება. შესანიშნავი იყო 60 დეს. მიწა სავენახე, რომელიც დღეს გამხმარია უპატრონობით.

წელს ამხ. ლ. ნაჭყებიას მეთაურობით საძირკველი ჩაეყარა საპარკე ქარხანას. მზადდება არა ნაკლები 800 ფ. პარკისა. შენობა გაკეთებულია ყოფ. პრინც მიურატის ეკლესის მასალიდან.

საჭიროა თემში ტელეფონის გაყვანა, შუამდგომლობა არა ერთხელ იყო აღძრული, მაგრამ ჯერაც არ არის დაკმაყოფილებული.

ამირან ჭკადუაშელი.

განცხადებები

საქართველოს
კომპარტიის ცეკას
გამომცემლობათა
მთავარი კანტორა
და ექსპედიცია
ამით აცხადებენ, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა (გაზეთების გამოწერა, მათი მიუღებლობა, დაგვიანება, დაკლება, ფულის გამოგზავნა და სხვა) გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, „მიწის მუშა“-ს და სხვა გამოცემათა შესახებ უნდა სწარმოებდეს
უთუოდ გამომცემლობათა მთავარ კანტორის სახელზე
თბილისი რუსთაველის პრ. № 24 ტელეფ. № 10—49.
ცეკას გამომცემლობათა მთავარი კანტორა და ექსპედიცია.

ხელის მომწერთა სა[illegible]
ვინც გაზ. „კომუნისტ[illegible]
„მუშა“-ს და „მიწის-მუშა“-ს
თავის დროზე [illegible]
ეთხოვთ დაუყონებლივ აცნობონ [illegible] კანტორას.
რუსთაველის ქ. № 24. მეორე სართული ტელ. № 10—49.

ღრმად დამწუხრებული მშობლები რაჟდენ ბეჟანის ძე და ოლი
დოლიძეები შვილებითურთ აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს
ნაცნობებს მათი საყვარელი შვილის
ცოტნეს
გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ქ. ოზურგეთში 16
აგვისტოს, შაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, გამოსვენება ალმასკ
ქუჩ. 15 კამპანიოვის სახლიდან
1—1 1423

მარინე აბაშმაძისა, მინა ქურიძისა, პელაგია კიკვაძისა, კირილე
მაძე, პორფილე ქურიძე და თედორე კიკვაძე ღრმა მწუხარებით
წყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ პირველი
საყვარელი დედის, ხოლო უკანასკნელი სამის ძვირფასი სიდე
ბარბალე სალუქვაძის
გარდაცვალებიდან ორმოცი დღის პანაშვიდი დანიშნულია
ამა თვის 17, ქვაშვეთის ეკლესიაში 12 საათზე.
2—1 173

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ლუტუ და მარგო, [illegible]
(მარიამი) სიმონის ასული საყვარელიძისა, ძმა სიმონ კონსტანტ
საყვარელიძე ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და
ნობთ უდროვოდ გარდაცვალებას აბასთუმანში საყვარელ
თამარისას
რომლის გამოსვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან მოხ
კვირას, 17 ამა აგვისტოს, ნაშუადღევის 5 საათზე წმ. ნიკოლ
სასაფლაოზე
მოსვენება აბასთუმნიდან კვირას, დილის რვა საათზე, პანაშვიდი
ბათს, 16 აგვისტოს, საღამოს ექვს საათზე ქვაშვეთის ეკლესი
1—1

თბილისის ალმასკომის
ფინგანყოფილების შემოსავალ-
სავლის სალარო
ამით აცხადებს, რომ შეიძლება მიღება სახელ
მეორე მოგებ სესხის 1924 წ. 6 პროც.-ტიან ო
გაციებისა, რომელთა ღირებულება გადახდილი
დასახადების შეტანის და სარეწავო მოწმობ
მიღების დროს.
ნ. 1422 3—

15 სექტ. გამოცდებზე ვასწორებ ჩამორჩენილებს და ვამზ
მათემატიკაში:
ალგებრაში, ტრიგონომეტრიაში, გეომეტრია
თმეტიკაში, უმაღლეს სასწავლ. ტეხნიკუმში,
ზე, საღამოს საშუალო და საბუღალტერო კურ
შესასვლელად.
მუშებს, კავშირის წევრებს ვასწავლი შეღ
თიან ფასებში.
პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5) 9—1
3—7 საათ.
1—1

ექიმ სოკლეტის, გამერტენ შმიდტის და ბილის
კეფირი
გამოკვლევ
მიხედვით
პრეირ
ლიმსკის და მენფელეს ცდების თანახმად
ხელს უწყობს წონაში მატებას, ითვლება საუკეთესო საშუალებად
ნაკლულოვანების, კუჭის კატარის, ფილტვის ტუბერკულიოზის
საერთო სისუსტის დროს
მიმართეთ თქვენს ექიმს და ის დაგინიშნავთ კეფირის
რი ნორმა უნდა დალიოთ თქვენი ჯანმრთელობის აღსადგ
მისამართი ლორის-მელიქოვის ქ. № 6 (ი. კორონას ლაბორატ
კავშირის წევრებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღა
განყოფილება ფუნიკულიორზე და აბასთუმანში
10—10 6

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მ
ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძ
ბით. თბილისი, ყორგანოვის ქ. № 20.

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 2503 სახალხო განათლების კომისარიატიდან გაცემული თამარ ყაზახაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1738 1—1

დავკარგე ნუსხა მოცემული სენაკის სამაზრო კომისარიატის მიერ სარდიონ—იგივე გრიგოლ ჩაჩავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1736 1—1

დავკარგე ქიათურის სამთო-კავშირის საწევრო წიგნაკი № 2546 აღებული ალექსანდრე მეთოდეს ძე ბოჭორიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1727 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 3088, ილია პავლეს ძე შაუ[illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1731 1—1

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი მიღებული ქ. ზესტაფონში, ნინო ცქიფურიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1734 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობები იაგორ ნიკ. გიორგაძის და ელისაბედ გიორგაძის სახელზე, მოცემული ქალაქის მილიციის უფროსის მიერ და სხვა დოკუმენტები. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1726 1—1

დავკარგე პირადობის მო
ცემული მ
ლოსნოს კანტორიდან პარტიუ
მოცემული ს. კ. პ. ც. კ. № 498,8
გერასიმეს ძე გირგოლას სახე
ლოს გაუქმებულად. 17

დავკარგე როსტოვის
შემდეგი დ
1. მოსკოვის 1-ლი სახელმწ. უ
საზოგად. მეცნიერებათა ფაკ
ცელიარიიდან მოცემული პირ
მობა, 2. მოსკ-ს ფსიქოლოგიურ
ტიდან გამოტანილი ცნობა—
პრაქტიკუმში ჩემი მუშაობის
МОПР-ის (რევოლ. მებრძ.
შორისო ორგანიზ.) წევრობის
65872, 4. „Друг детей“-ს
წევრობის ბილეთი № 5,
ზეუმის წიგნთსაცავით სარგებლ
რი ბილეთი № 7818, 6. მოს
სამილიც. უბანიდან მიღებულ
местожительство“ № ?, 7.
რიცხვის უფროსისაგან მიღებულ
სამხ. ბეგრის მოხდის 1926 წ
დების შესახებ №?, 8. თბ
საბჭოს წევრობის ბილეთი № 3
მოწ.) და სხვა დოკუმენტი მო
უნივერსიტეტიდან და სხ. დაწ
დან გაცემული გიორგი თავზარ
ხელზე. ყველა მათგანს ვაცხადებ
ლად. 1

დავკარგე პირადი წ
მული ბანძის
ალმასკომიდან, მარდან დანელი
ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტირაჟი—13,500

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს, [illegible] ქუჩა № 4.